140
62/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

თებერვალი 2 1962





# ჩვენი საქართველო

შენ თუ იცნობ კახეთს,
ქართლს, იმერეთს, რაჭას,
თუ გურია ნახე
და გული იქ დარჩა,

თუ შავ ზღვასთან მიხველ,
თუ სვანეთში იყავ,
თუ თვალი ჰკარ ჯიხვებს,
თუ ეს მთებიც გიყვარს,

ფშავ-ხევსურეთს, თუშეთს,
ყაზბეგს, უშბას, შხარას
თუ თვალი ჰკარ უცებ,
მორჩა, ეგაც კმარა.

შენ თუ იცნობ მცხეთას,
თრიალეთს და ალგეთს...
სამშობლოა ერთად,
არა ცალკე-ცალკე.

მამულია ჩვენი,
საქართველო ჩვენი,
სამშობლოა მრავალ
მგოსნისა და ბრძენის.

სამშობლოა გლეხის,
სამშობლოა მუშის.
ბევრჯერ მოხვდა მეხიც
შიგ პირდაპირ გულში,

მაგრამ არ მომკვდარა,
წელში ვერვინ ხრიდა.
ცოცხლობს, ცოცხლობს მარად
უხსოვარი ხნიდან.

დღეს დიდი გზით მიდის,
დგამს მომავლის ჩარხებს.
სიყვარულის ხიდით
შეხვდა მოძმე ხალხებს.

ღამითა და დღისით
ჩვენ ვადიდებთ იმას.
ტკბილი არის მისი
მზეც, თოვლიც და წვიმაც.

იქაც, აქაც მთები,
იქაც, აქაც მდელო...
შენთვის დავკაცდებით,
ტკბილო საქართველო.

ლადო სულაბერიძე

ნახ. თ. სამსონაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

8707

# შინაარსი

**ლ. სულაბერიძე**—სიმღერა საქართველოზე (ლექსი) გარეკ. . . . . . . . . . . . . . . . . . . 2
**ჯ. კვარაცხელია**—პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავი (წერილი) . . . . . . . . . . . . . 2
პიონერის კლუბი. . . . . . . . . . . . . . . 4
**გ. კაჭახიძე**—მამაშენის გასახარად (ლექსი) . . . . 6
**რ. ჩაჩანიძე**—ჩამქრალი ნათურები (ფანტასტური მოთხრობა) . . . . . . . . . . . . . . . . 7
ჩვენი ნინო ნაკაშიძე . . . . . . . . . . 13
**მ. დრუჩინინი**—მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრები . . 14
ვპასუხობთ შეკითხვებზე . . . . . . . . . 15
**დ. ბაქრაძე**—დაუმთავრებელი ღრეობა, უცნაური გოგრა (მოგონებანი) . . . . . . . . . . . . 16
**თ. სახაროვი**—უნგრელ პიონერებთან (ნარკვევი) . . 18
**დ. ხინთიბიძე**—მატყუარა (კინომოთხრობა) . . . . 20
რუსული არაკები . . . . . . . . . . . . . 22
წიგნი—ჩვენი მეგობარი. . . . . . . . . . 23
**ნ. ელიაშვილი**—ობოლა (მოთხრობა) . . . . . . 24
საინტერესოა ვიცოდეთ . . . . . . . . . 25
ნორჩ მეოჯახეთა კლუბი. . . . . . . . . . 26
**ა. ონელი**—ახალი მოსახლენი (ლექსი) . . . . . . 28
საბჭოთა ტექნიკის სიახლენი . . . . . . . 29
**ი. ჯანდიერი**—„დავით-გარეჯა“ (წერილი) . . . . 30
ბუნების კარი. . . . . . . . . . . . . . . 31
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . . . 32
თავისუფალ დროს . . . . . . . . . გარეკ... 3

გარეკანის პირველ გვერდზე „სტუმრად მეტალურგებთან“, ნახ.—**გ. გელოვანისა.**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **თ. სამსონაძის, ჯ. ლოლუას, დ. ხახუტაშვილის, გ. გელოვანის, ნ. შალიკაშვილის, გ. თოთიბაძის, რ. თორდიასა** და **ედ. ამბოკაძის** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **ჰარიჯანი, რ. ქორქია; რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი)

# პიონერი

თებერვალი 2 1962

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი

პიონერულ [illegible]

# გილოცავთ ჩვ

წელს, 19 მაისს, მთელი ჩვენი ქვეყანა იზეიმებს პიონერული ორგანიზაციის ორმოცი წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ დღეს ქართველი პიონერები, მოძმე რესპუბლიკების პიონერებთან ერთად, სამშობლოს უპატაკებენ თავიანთი სასახელო საქმეების შესახებ. ბევრი პიონერი, ალბათ, დამსახურებულად მიიღებს უფროსების მადლობას, ბევრ სკოლაში აინთება ლალის ვარსკვლავი და მრავალი ნორჩი გმირის სახელი ჩაიწერება პიონერულ მატიანეში.

აი, მათი სასახელო საქმეები:

* * *

გორელმა პიონერებმა შეაგროვეს 88 ტონა ჯართი, 6932 ცალი ბოთლი, 2400 კგ. მაკულატურა, კულტურისა და დასვენების პარკში დარგეს 260 ძირი სხვადასხვა სახის ყვავილი.

ნორჩ პიონერთა გორის საქალაქო საბჭო.

* * *

გეგუთის საშუალო სკოლის პიონერებმა გამოკვებეს 153 გრ აბრეშუმის მური, დარგეს 300 ძირი ქართული ჯიშის თუთა.

ნორჩ პიონერთა წყალტუბოს რაიონული საბჭო

* * *

პიონერული ორწლედის პირველ წელს მოვკრიფეთ 7 ტონა ჩაის ფოთოლი, შევაგროვეთ 1,5 ტონა ჯართი. სკოლის ეზოში გავაშენეთ ბაღი, სადაც დეკორატიული ხეების გარდა დავრგეთ, აგრეთვე, 50 ძირი თუთის ხე. პიონერთა მეაბრეშუმეობის რგოლმა გამოკვება 17 გრ. აბრეშუმის მური. ამ საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელა პიონერმა თამარ რუხაძემ, რომელმაც 5 გრ. აბრეშუმის მური გამოკვება და სახელმწიფოს 28 კგ. აბრეშუმის ხარისხოვანი პარკი ჩააბარა.

წულუკიძის რაიონის კონტუათის არასრული საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის საბჭო.


ჯუანშერ ქვარაცხელია,

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.


ბავშვებო! პიონერებო და მოსწავლეებო! ნორჩო ლენინელებო! ახლოვდება ღირსშესანიშნავი დღესასწაული, ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავი. 19 მაისს მთელი ჩვენი ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს ამ თარიღს.

ხოლო 19 მაისი, პირველ ყოვლის, თქვენი ზეიმია და მთავარი საზრუნავიც თქვენზეა. წინაა რამდენიმე თვე და უმჯობესია ამთავითვე შევუდგეთ მზადებას. თუმცა მზადება რა ხანია დაწყებულია: საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში უკვე გულმოდგინედ სწავლობენ პიონერები მწყობრში სიარულს, საყვირისა და დოლის დაკვრას. ისინი ოცნებობენ 19 მაისის დილაზე, როცა ქუჩები და მოედნები, ყველა საზოგადოებრივი ობიექტი მათ განკარგულებაში იქნება, როცა გაიშლება პიონერული პარადის კოლონები.

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, მარტო პარადით ვერ შევხვდებით ჩვენი საყვარელი ორგანიზაციის 40 წლისთავს. სახელოვან იუბილეს სასახელო საქმეებიც უნდა გავუმზადოთ. ასეთია ჩვენი ჩვიდმეტმილიონიანი ლაშქრის ტრადიცია. დიდ სახალხო დღესასწაულებს სახელოვანი საქმეებით ვხვდებით. ამის დადასტურებაა ნორჩ პიონერთა პატაკიც პარტიის XXII ყრილობისადმი.

პარტიის ისტორიულ XXII ყრილობას, უფროსებთან ერთად, ღირსეულად შეხვდნენ პიონერებიც. ყრილობის დღეებში მთელმა ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო პიონერთა სასახელო საქმეები. იმ პატაკში, რომელიც 17 მილიონი ნორჩი მოქალაქის სახელით გადაეცა ყრილობას, ცოტა როდი იყო ნათქვამი საქართველოს პიონერული ორგანიზაციის საინტერესო წამოწყებებზე.

აქ შეუძლებელია დაწვრილებით ვილაპარაკოთ პატაკზე, ყველა იმ დიდსა და პატარა წარმატებებზე, რაც პიონერული ორწლედის პირველი წლის მანძილზე მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის პიონერებმა, მაგრამ დიდი პიონერული დღესასწაულისათვის მზადების პირობებში ურიგო არ იქნება ზოგი შთამბეჭდავი ციფრის გახსენება.

საქართველოს პიონერებმა პიონერული ორწლედის პირველი წლის მანძილზე გამოიმუშავეს 1.200.000 შრომადღე, მოკრიფეს და სამშობლოს ჩააბარეს 1.430.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გამოზარდეს 56 000 წიწილა, სახელმწიფოს ჩააბარეს 135.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, მოიყვანეს სიმინდი 3400 ჰექტარზე, მოუარეს 3000 სკას, შეაგროვეს 900 ტონაზე მეტი ჯართი, დარგეს 100.000-ზე მეტი კაკლის ხე...

როგორც ეს ციფრები გვიჩვენებენ, ჩვენს პიონერებს დიდი შრომა გაუწევიათ პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის სამზადისის დაწყებამდეც. მსგავსი შრომითი წარმატებებით საჭიროა შევხვდეთ 19 მაისსაც.

ამავე საქმესთან—საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან — მჭიდროდაა დაკავშირებული პიონერული ზონები. ამ უკანასკნელ ხანს ფართო გაქანება ჰპოვა მოძრაობამ პიონერული ზონების შესაქმნელად. ახლა ჩვენი რესპუბლიკის მრავალ სკოლაში ნახავთ არაჩვეულებრივ რუკებს, რომლებიც გამოცდილი გეოდეზისტების მონაწილეობით არ დამზადებულა და არც სტამ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენი ზეიმის დღე

ბებში დაბეჭდილა. ისინი პიონერთა ოთახებში დაამზადეს ბავშვებმა საკუთარი ხელით. დახედავთ რუკებზე აღნიშნულ ქუჩებსა და ეზოებს, ქარხნებსა და საბავშვო ბაღებს, მუშათა კლუბებს, თუ სხვა ობიექტებს, დააკვირდებით ყოველ მათგანზე გაკეთებულ ნიშნებს და მიხვდებით, თუ სად რა სასარგებლო შრომას ეწევიან ამა თუ იმ სკოლის პიონერები. საჭიროა ყოველ რაზმს ჰქონდეს თავისი პიონერული ზონა, მაგრამ არა მარტო რუკაზე, არამედ ნამდვილად, ცხოვრებაშიც. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმეა და იგი საპატიო ადგილს დაიკავებს საიუბილეო მზადების ფეხულში.

საუკეთესო საიუბილეო სამზადისად ჩაითვლება, აგრეთვე, მუშაობა პიონერული ორგანიზაციის ისტორიის შესასწავლად. დაე, ამ თავითვე ყოველი რაზმი ჩაებას პიონერული მატიანეების შესადგენად გაჩაღებულ საქმიანობაში. მატიანეების საინტერესოდ შედგენაში დიდ დახმარებას გაგიწევთ პირველი თაობის პიონერებთან შეხვედრები და მათი შთაგონებული ნაამბობი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებზე, პირველ ხუთწლედებზე, კულაკებთან ბრძოლაზე და სხვ. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა ამჟამად თბილისელ პიონერთა ერთი ნაწილი, რომელიც „წითელი კვალის მაძიებელთა“ ჯგუფშია გაერთიანებული.

მეტად სასარგებლო და ნაყოფიერია საქართველოს სასაზღვრო რაიონებში „მესაზღვრეეების ნორჩ მეგობართა“ რაზმების საქმიანობა. პიონერებს სამაყო წვლილი შეაქვთ გზების მშენებლობაში და ბილიკებისა და საკონტროლო ხაზების მოწყობაში. მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, აგრეთვე, პიონერ-მოსწავლეთა მესამე საკავშირო ექსპედიცია. ეს ექსპედიციაც ჩვენს პიონერულ იუბილეს ეძღვნება და ჩვენი ვალია საინტერესოდ წარვმართოთ საექსპედიციო რაზმების მუშაობა, მოვაწყოთ ლაშქრობები და შეხვედრები კოცონთან: პირველი თაობის პიონერებთან, საპატიო, გამოჩენილ ადამიანებთან, პიონერული ორგანიზაციის ვეტერანებთან, ძმძე რესპუბლიკების პიონერებთან. ასეთი საინტერესო ღონისძიება იყო, მაგალითად, ამიერკავკასიის ნორჩ მოგზაურთა შეხვედრა, რომელიც ჩარგალში მოეწყო. არაგვის პირად ფრიალებდა პიონერული დროშები და იქ მყოფ პიონერებს არასოდეს დაავიწყდებათ მეგობრობის ის დიდი ზეიმი. მაგრამ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ყველა ის ღონისძიება, რაზეც ვილაპარაკეთ, ყველა ის წარმატება, რაც მოპოვებული გვაქვს და კვლავაც უნდა მოვიპოვოთ, რათა ღირსეულად შევხვდეთ 19 მაისს, ამაო იქნება და გაფერმკრთალდება, თუ მხედველობიდან გამოგვრჩა მთავარი—აკადემიური წარმატების საკითხი. გვახსოვდეს, შვიდწლედის თანამგზავრი რაზმეულის სახელს მოიპოვებს მხოლოდ ის რაზმეული, რომელსაც ერთად აშვენებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ჩვევები, შეგნებული დისციპლინა და აკადემიური წარმატება. წითელი ვარსკვლავებიც, რომლებიც არაერთი სკოლის თავზე კიაფობს დღეს ჩვენს რესპუბლიკაში, სწორედ ამისი ნიშანია. ვამრავლოთ წითელი ვარსკვლავი! ეს იქნება უპირველესი საჩუქარი ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის.

ხოლო შვიდწლედის თანამგზავრი რაზმისა და რაზმეულის სახელი ძნელად მოიპოვება. მისი მოპოვება შეუძლია მას, ვინც დროზე მოიმარჯვებს საბჭოთა საზოგადოების მორალური კოდექსის მცნებას: „ერთი — ყველასათვის! ყველა — ერთისათვის!“.

პიონერებო! ღირსეულად შევხვდეთ ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავს!

## პიონერულ ოქროს ქრონიკა

მოვამზადეთ 48 პიონერ-ინსტრუქტორი, 25 ნორჩი ნატურალისტი და 24 ტურისტი.

შევაგროვეთ 4 ტონა ჯართი, 500 ბოთლი, 400 კილოგრამი სამკურნალო მცენარე. დავრგეთ 1500 ძირი ხეხილის ნერგი.

ტყვიავის საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის საბჭო.

* * *

ეწერის არასრული საშუალო სკოლის პიონერებს: იულია ვერულაშვილს, მზისდარ რაზმაძეს, პავლინა კოხრეიძეს და ამირან რაზმაძეს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში თითოეულს გამოყოფილი აქვს 1200 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია. წელს მათ ჩაის კრეფის წლიური გეგმა 120 პროცენტით შეასრულეს.

* * *

ამჟამად რაიონის პიონერები უვლიან 50 კურდღელს, 300 ქათამს, 350 მტრედს, ფუტკრის 20 ოჯახს, 6 ძროხასა და 13 ხბოს. ბაშისა და ღანირის სკოლებში შექმნილია მეფრინველეობის პიონერული ფერმები.

ნორჩ პიონერთა სამტრედიის რაიონული საბჭო.

* * *

სამგორელმა პიონერებმა საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში გამოიმუშავეს 45 000 შრომადღეზე მეტი, 367 ჰექტარზე მოიყვანეს სიმინდი, გამოიყვანეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 1264 კგ. მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი, შეაგროვეს 227 ტონა ჯართი, 251 კგ. აკაციის თესლი, დარგეს 43 ათასი ძირი სხვადასხვა ჯიშის ხის ნერგი.

ნორჩ პიონერთა სამგორის რაიონული საბჭო.



წითელი კვალის მაძიებლები

## ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის




ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის ფართოდ გაიშალა მზადება. ამ სამზადისში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პიონერ-ორგანიზაციის ისტორიის შესწავლას. თბილისელი პიონერები ინტერესით ეცნობიან საქართველოში პირველი პიონერული კოლექტივების საქმიანობას. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა თბილისის პიონერთა სასახლის ლენინის კაბინეტთან შექმნილი „წითელი კვალის მაძიებელთა“ შტაბი.

„პიონერის კლუბის“ თებერვლის სხდომაზე მოვიწვიეთ პიონერთა სასახლის ვ. ი. ლენინის კაბინეტის გამგე ა. ბარიგიანი და „წითელი კვალის მაძიებელთა“ შტაბის ნორჩი აქტივისტები, პიონერები: ქეთევან მესტვირიშვილი, დარეჯან ჰინჭარაძე, ნინო ფრიდონაშვილი, მედეა ავეტიკოვა და ლამზირა ალხანიშვილი.

აი, რა გვიამბეს მათ თავიანთი შტაბის საინტერესო მუშაობაზე:

# წითელი კვალის მაძიებლები

ყდაშეყვითლებულ ალბომში ამ რამდენიმე თვის წინ მხოლოდ ერთი გაცრეცილი სურათი იყო, რომელიც თანდათან დავიწყებას ეძლეოდა. მხოლოდ ძალიან იშვიათად, როცა დეიდა ანა თავისი სამუშაო მაგიდის დასალაგებლად მოიცლიდა, გამოაღებდა ქვედა უჯრას, ფრთხილად ამოიღებდა იმ სურათს და დიდხანს აკვირდებოდა ნაცნობ სახეებს. ეს გიორგი აბესაძეა, ეს — მიხეილ გორგაძე, ესეც — მარია ბოგდანოვა, ბორის ბუკია... მაგრამ დანარჩენები? დანარჩენები ვინ არიან?.. აქ იწყებოდა და აქვე მთავრდებოდა ამ სურათზე ფიქრი. შემდეგ სურათს ალბომში ათავსებდა და ისევ იმ უჯრას მიაბარებდა.

ახლა დეიდა ანასაც უკვირს, იმათაც უკვირთ, ვინც ამოიცნეს სურათზე აღბეჭდილი, აქამდე უცნობი სახეები და არა მარტო ამოიცნეს, მოძებნეს კიდეც და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, დეიდა ანასთან, თავიანთ მეგობრებთან მოიყვანეს.

ვინც ამ ბოლო ხანებში სასახლეში მოსულა, ნათელ დერეფნებში უთუოდ ნახავდა თმაშევერცხლილ, წითელყელსახვევიან პიონერებს. ისინი ანა ბარიგიანთან და „წითელი კვალის მაძიებელთა“ შტაბის უფროს ნელი უსენეიშვილთან მოდიან. შტაბის წევრები კი ამ დროს რეიდზე არიან დავალებების შესასრულებლად. დადიან, ეძებენ...

* * *

ერთ დღეს ვაჭრობის სამინისტროს ადმინისტრაციულ განყოფილებაში ტელეფონმა დაიწკრიალა.

— გიორგი აბესაძე? ახლავე. გთხოვენ, პატივცემულო გიორგი, „წითელი კვალის მაძიებელი““ უნდა იყოს, — უთხრა თანამშრომელმა გიორგი აბესაძეს და ყურმილი გადასცა.

— გამარჯობათ. „წითელი კვალის მაძიებელი“ გელაპარაკებით, პიონერი ქეთევან მესტვირიშვილი. ველი თქვენს დავალებას, გაისმა ყურმილში.

— აი რა, ქეთევან, ახლავე მიხვალ შტაბში და ნახავ სურათს. პირველ მწკრივში, სულ განაპირას ზის ერთი გოგონა — ქერა, ხვეული თმით. ჩაიწერე მისი სახელი და გვარი: ევგენია ვიბორნოვა. გუშინ შევიტყვე, თურმე თბილისში ცხოვრობს. ოღონდ მისამართი არ ვიცი. არც ის ვიცი, სად მუშაობს. მისი მოძებნა კი საჭიროა. ის ყოჩაღი და აქტიური პიონერი იყო. ბევრ საინტერესო მასალას მიიღებ მისგან. აბა, შენ იცი. კვირას, შტაბის სხდომაზე მომახსენებ შედეგს.

ქეთევანმა ყურმილი ჩამოკიდა და სამისამართო ბიუროსაკენ გაემართა.

სამისამართო ბიუროში უკვე ყველა იცნობდა ქეთევან მესტვირიშვილს. ის ხომ პირველად არ ასრულებდა ასეთ დავალებას და ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა გოგონა მათთან ახალი დავალებით მივიდა. „თბილისში სამი ევგენია ვიბორნოვა ცხოვრობს“, — უთხრეს ქეთევანს. ასეთ შემთხვევაში მათი ასაკის დაზუსტებაა საჭირო, და ქეთევანჰა ბიუროს მორიგეს სამივეს წლოვანება კამოჰკითხა. გოგონას ყურადღება ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთზე შეჩერდა: ევგენია ვიბორნნოვა, ნიკოლოზის ასული, დაბადებული 1912 წელს, მისამართი: ათარბეგოვის, 17. „ეს იქნება, — გაიფიქრა გოგონამ, — 1922 წელს, როცა საქართველოში პირველი პიონერული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, იგი ათი წლის იქნებოდა. სწორედ ეს უნდა იყოს. დავალების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია, კვალი მიგნებულია“.

ერთი საათის შემდეგ ვიბორნნოვების ბინაზე ნორჩი მაძიებელი თავის სტუმრობის მიზეზს უხსნიდა ევგენია ვიბორნნოვას უმცროს ქალიშვილს ნათელას. გოგონა უსმენდა და ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა დედამისი სამსახურიდან.

ქეთევანს ბევრი ახსნა აღარ დასჭირებია, ნათელამ დერეფანში უკვე ყველაფერი უამბო დედას. უთხრა, ყუთიც აჩვენე, ჩვენ რომ ხელსაც არ გვაკარებინებო. ევგენია ვიბორნნოვას ამის თქმა რად უნდოდა. ოთახში რომ შემოვიდა, გოგონას გაუღიმა, ძველი ნაცნობივით მიესალმა.

— ვიცოდი, ასეც ვიცოდი, — თქვა მან, შემდეგ კომოდთან მივიდა, უჯრა გამოაღო, ლითონის ყუთი გახსნა. ჯერ ყელსახვევი ამოიღო, — წითელი ყელსახვევი, ამ სამი ათეული წლის წინათ თვითონ რომ ატარებდა, შემდეგ ფოტოსურათები — ერთი, ორი, სამი... ქეთევანს თვალები აუციმციმდა, ხან ერთს ათვალიერებდა, ხან მეორეს. „ვთხოვ დეიდა ევგენიას, შტაბში გამატანოს, ალბომში ჩავაკრავ იმ სურათის გვერდით; იქნებ ყელსახვევიც გაიმეტოს. როგორ გაუხარდებათ შტაბში, პირველი პიონერის ყელსახვევს რომ მივიტან!“

ქეთევან მესტვირიშვილმა მეორე დღეს „წითელი კვალის მაძიებელთა“ შტაბის ალბომში ჩაწერა ევგენია ვიბორნნოვას ნაამბობი:

„— ეს იყო 1922 წელს. მაშინ პირველი მაისის რაიონის პიონერთა ორგანიზაციას „ლურჯხალათიანები“ ეწოდებოდა. მე შენზე პატარა ვიყავი, ჩემო ქეთევან. ჩვენი ოჯახის ახლო მეგობრებთან ვცხოვრობდით თბილისში. ოჯახის დიასახლისი ცრუმორწმუნე იყო. არც მე და არც მის უფროს ქალიშვილს ლუბას სახლიდან გასვლის ნებას არ გვაძლევდა. 43-ე სკოლაში ვსწავლობდი. სკოლიდან დაბრუნებისას მუშტაიდის ბაღი (ამჟამად ორჯონიკიძის სახელობის პარკი) უნდა გამევლო. მაშინ ბაღის კუთხეში, სადაც ახლა მუსიკალური კომედიის თეატრია, ერთსართულიანი შენობა იდგა. რამდენჯერ მივსულვარ ოთახის კარებთან, რომელიც ყოველთვის ღია იყო, და შიგ შემიხედავს. კედელზე ლენინის სურათი ეკიდა. ერთ მხარეს დროშა იყო, ოთახის შუაგულში მოგრძო მაგიდა იდგა. მაგიდას ბიჭები უსხდნენ, წითელი ყელსახვევები ეკეთათ და რაღაცას გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდნენ. „ნეტავი მაგათ“ — ვფიქრობდი ხოლმე. მე მათ არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრი რამ მქონდა გაგონილი მათზე. მომწონდა, სიმღერითა და დაფდაფით ქუჩებში რომ მიაბიჯებდნენ. მე კი შინ დიასახლისი მელოდებოდა და, დროზე რომ არ მისულიყავი, სასტიკად გამიწყრებოდა. მაგრამ ერთ კვირა დილას, პლეხანოვის პროსპექტზე მწყობრად მიმავალ პიონერებს მეც მხარში ამოვუდექი, ფეხი ავუწყე და სიმღერით მათთან ერთად მივედი პიონერთა ოთახში, სადაც ერთმა ბიჭუნამ წითელი ყელსახვევი გამიკეთა. რა ბედნიერი ვიყავი მაშინ! ის დღე არასოდეს დამავიწყდება. მალე კედლის გაზეთის რედაქტორად დამნიშნეს. ხშირად გაზეთი შინ მიმქონდა გასაფორმებლად. დიასახლისს რომ არ გაეგო, როცა ყველანი იძინებდნენ, სამზარეულოში გავდიოდი, სინათლეს ვანთებდი, ლუბასაც ვაღვიძებდი, რომელსაც ხატვა ეხერხებოდა, და განთიადამდე მხატვრულად ვაფორმებდით ჩვენს გაზეთს. ერთ დღეს ჩვენს პიონერულ კოლექტივში ლუბაც მივიყვანე, იქიდან კი უკვე წითელი ყელსახვევით დაბრუნდა. ლუბა რადნოვამ მალე თავისი ამხანაგებიც მოიყვანა. ამხანაგებს ნაცნობები მოჰყვნენ. პიონერული კოლექტივი თანდათანობით იზრდებოდა“.

კიდევ ბევრი რამ უამბო ქეთევანს ევგენია ვიბორნნოვამ თავის მეგობრებზე — პირველ პიონერებზე; უამბო, როგორ მართავდნენ პიონერულ სპექტაკლებს, როგორ აწყობდნენ ქალაქგარეთ პიონერთა ბანაკებს უდედმამო ბავშვებისათვის, როგორ ატარებდნენ პიონერულ შეკრებებს და, რაც მთავარია, ევგენია ვიბორნნოვამ „წითელი კვალის მაძიებლებს“ ბევრი პირველი პიონერი გააცნო. ბევრთან თვითონ მიჰყვა, ბევრისა კი მისამართი მისცა.

* * *

წკრიალებენ ტელეფონები, დადიან „წითელი კვალის მაძიებლები“ თბილისის უბნებში, წარმოებებსა და დაწესებულებებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში; დადიან ყველგან, სადაც კი ეგულებათ პირველი პიონერები. რამდენიმე თვის წინ ისინი მხოლოდ ოთხნი იყვნენ, დღეს კი საპატიო სიაში 170 პირველი პიონერია შეტანილი.



პირველი პიონერები სტუმრად „წითელი კვალის მაძიებლებთან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის მატიანე“ — ასე ერქმევა წიგნს, რომელიც იწერება ამჟამად და რომლის შექმნაშიც დიდი წვლილი მიუძღვით „წითელი კვალის მაძიებლებს“.

ამ წიგნში ჩაიწერება, რომ პირველი პიონერული დროშა ნაპოვნია და ის პიონერთა პარკში ინახება — ერთ-ერთ პირველ პიონერ ვანო შოთაშვილთან. მიგნებულია ანდრეი ბარსეგოვის კვალიც. ანდრეი ბარსეგოვი ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. იგი ლენინის რაიონის პიონერული ორგანიზაციის ერთ-ერთი შემქმნელია და ახლაც პიონერების დიდი მეგობარია. წერილი წერილზე მოდის მისგან ნორჩ მაძიებელთა შტაბის სახელზე: „მიხარია, ჩემო ძვირფასებო, ყველას მაგივრად მიხარია. მივესალმები თქვენს კარგ საქმეს. ეძებეთ, დაუღალავად ეძებეთ ის ადამიანები, რომლებიც თითქმის ამ სამი ათეული წლის წინათ ჭედდნენ თქვენს საყვარელ ორგანიზაციას. ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ. სწავლობდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ დიდი მომავლისათვის. ახლა ორმოცდაათ წელს მიტანებული პირველი პიონერები არიან. ეძებეთ და შეხვდით მათ. ისინი თქვენ ბევრ საინტერესოს გიამბობენ“.

ხოლო თავის მეგობარს, მარია ბოგდანოვას ანდრეი ბარსეგოვმა შემდეგი მოსწერა: „გადაეცი ქართველ პიონერებს, „წითელი კვალის მაძიებლებს“, რომ სულ მალე მოვიყვან ჩემს არქივს წესრიგში და ბევრ საყურადღებო მასალას მივაწვდი მათ საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის მატიანეს შესადგენად“.

* * *

1961 წლის 19 ნოემბერს განსაკუთრებულად ვღელავდით. ამ დღეს ჩვენს სასახლეში ვხვდებოდით ძვირფას სტუმრებს — პირველ პიონერებს. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. „კვალის მაძიებლები“ მათ თითქმის ყველას ვიცნობდით. ხშირად ვაკითხავდით შინ. ჩვენზე ნაკლებად როდი ღელავდნენ სტუმრებიც. ბევრმა ამ დღეს ნახა პირველად ერთმანეთი 30-ზე მეტი წლის შემდეგ. ყველას პიონერული ფორმა ეცვა, წითელი ყელსახვევი ეკეთა. გაისმა პიონერული საყვირის ხმა. თმაშევერცხლილი პიონერები მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ სასახლის თეატრალურ დარბაზში. წინ მოუძღოდათ „წითელი კვალის მაძიებელთა“ შტაბის აქტიური წევრი გიორგი აბესაძე; ფრიალებდა პიონერული დროშა, პავლიკ ზუბრიცკის დაფდაფი მოემარჯვებინა... დარბაზში ტაშმა იქუხა. სტუმრებს მიესალმნენ ნორჩი მაძიებლები. ქალაქის პიონერთა სახელით პიონერული ორგანიზაციის ვეტერანებს პატარა ჩაიბარა თბილისის საქალაქო შტაბის უფროსმა მაყვალა ლაზარიაშვილმა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც შეკრების მეორე ნაწილი იყო. რა დიდი სიყვარულით გვესაუბრებოდნენ გიორგი აბესაძე, მიხეილ გორგაძე, მარია ბოგდანოვა... მივიღეთ ანდრეი ბარსეგოვის დეპეშაც: „გული მწყდება, რომ თქვენს ზეიმს ვერ ვესწრები, მაგრამ მე მაინც თქვენთანა ვარ. გეხვევით ყველას, ჩემს ძველ ნაცნობებს და ახალ მეგობრებს. მოდით, ჩვენი მომავალი შეხვედრა 19 მაისს მოვაწყოთ. მაშინ კი, თქვენი ორგანიზაციის 40 წლისთავის ზეიმზე, უსათუოდ ჩამოვალ თბილისში“.

მართლაც დიდი ზეიმი გვექნება 19 მაისს. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვრცელი დარბაზი, ალბათ, ვერც დაიტევს სტუმრებსა და მასპინძლებს. ამ დღეს, ჩვენს მიერ აღმოჩენილი ყველა პირველი პიონერი მოვა ზეიმზე. რამდენ საინტერესო ამბავს მოგვიყვებიან ისინი თავიანთი პიონერული საქმიანობიდან. პიონერის საპატიო მოვალეობაა, ქალაქად თუ სოფლად მოძებნოს პირველი პიონერები, პიონერული ორგანიზაციის პირველი ორგანიზატორები. მათი აღმოჩენის შესახებ აცნობოს „წითელი კვალის მაძიებელთა“ შტაბს.



# მამულის ანბანი

გიორგი კაჭახიძე

მზე ფანჯრებში შემოიჭრა,
სხივი სხივზე დამაყარა,
შენ რვეული გაგიშლია,
შვილო, მამის გასახარად.

წერე, წერე, გენაცვალე,
აყვავილოს სიტყვამ გული,
ნაწერს ცოდნა გიბრწყინებდეს
და სამშობლოს სიყვარული.

ეს ანბანი ქართულია,
ჩვენი ხალხის საფიცარი,
მისი მადლით დავაჟკაცდი
და ქვეყანა გაიცანი,

ამ ანბანით წერდა შოთა
სიმღერის და სიბრძნის მამა,
ამ ანბანით შეკრულ სიტყვებს
კონად კრავდა სულხან-საბა;

ამ ანბანმა გაგვაგონა
ხმა ილიას, ხმა აკაკის,
ყველა დედის იავნანა,
ვაჟას მთების ლაპარაკი.

წინაპრებმა ამ ანბანით
გაგვიმაგრეს ქვეყნად ფესვი...
სასიცოცხლო საჩუქარი
არ იქნება უკეთესი.

ყველაფერი, ყველაფერი
შიგ პოულობს თავის სახელს...
მისი მადლით ვიქეც კაცად
და ქვეყანა დავინახე.

წერე, წერე, გენაცვალე,
აყვავილოს სიტყვამ გული,
ნაწერს ცოდნა გიბრწყინებდეს
და სამშობლოს სიყვარული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩამქრალი ნათურები

**როლამ ჩაჩანიძე**

ნახ. ჯ. ლოლუახი

ფანტასტური მოთხრობა

— ყური მიგდე, მერაბ, აი, რას წერს მექსიკური გაზეთი...
მანქანამ მოსახვევში შეუხვია. გიორგი მაჩაბელმა, რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა, სათვალე შეისწორა, შემობრუნდა და განაგრძო:

— მექსიკელები წერენ: კაცობრიობამ დახურა სპელეოლოგიური სეზონი. კასტერე რომ ცოცხალი იყოს, დღეს დილით 6 საათსა და 35 წუთზე გადაიჭრიდა ვენებს. თავის სიცოცხლეს ზედმეტად ჩათვლიდა, რადგან ადამიანმა დღეს დილით, ჩააღწია რა მსოფლიოს უღრმესი მღვიმის ფსკერს, ამით დახურა სპელეოლოგიური სეზონი, რომელიც არც თუ ისე დიდხანს გრძელდებოდა.

— ცუდი ინფორმაცია ჰქონიათ ბატონ მექსიკელებს. მათ რომ ცოტა მოეთმინათ, ჩხრიალას მღვიმის შესახებაც მიიღებდნენ ცნობებს და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიყენებდნენ თავს.

მერაბ ჯაიანი ისევ შებრუნდა, თვალი გაადევნა გადაბიბინებულ მიდამოს, ცამდი აღმართულ თოვლიან მთებს.

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა მოასფალტებულ, ფართო შარაზე, თანდათან უახლოვდებოდა ბუმბერაზ მწვერვალებს.

მერაბი თითქმის თვლემდა. ოდნავ დაღლილი, მოწყენილი გამოიყურებოდა.

— ბანაკში ხომ არ შევჩერდეთ? — იკითხა მძღოლმა.

— არა, პირდაპირ წადი.

მანქანამ გაიქროლა მინდორში გაშლილ დიდრონ კარვებს შორის. ზოგიერთ კარავთან ახლადგამოღვიძებული ადამიანები იდგნენ. მათ ხელის ქნევით გააცილეს მანქანა. მერაბმაც წამოიწია და ისიც დიდხანს იქნევდა ცხვირსახოცს.

## თეთრი ჭიშკარი

14 ივლისს ჩხრიალამ დატოვა ძველი კალაპოტი. სანამ მდინარეს ძველ გზას მოუშლიდნენ, ბულდოზერებმა გახერხეს პატარა ქედი და იქ, ქვევით, ელექტროსადგურის კორპუსები აღიმართა.

ჩხრიალა ზათქითა და ღრიალით გადაეშვა ახალ კალაპოტში, გადაეშვა და მხრები გაშალა. ძველ გზაზე დატოვა დიდი, თეთრი რიყის ქვები და მოყავისფრო ქვიშა. მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი; უცებ სპელეოლოგთა ყურადღება მიიქცია პატარა, თეთრმა ჭიშკარმა. დიახ, ეს იყო კირქვის ჭიშკრისმაგვარი ხვრელი. ყველაზე ადრე ხვრელს ინჟინერმა მერაბ ჯაიანმა მიაქცია ყურადღება. მდინარის ძველი კალაპოტის გამოკვლევის დროს შენიშნა ხვრელი და მაშინვე შეძვრა შიგ.

ხვრელი ძალიან ვიწრო იყო და მერაბიც ხოხვით მიდიოდა, გზას ატომური ნათურით იკვლევდა. თითქმის ორი სა-

ათი მიძვრებოდა გრანიტის გრძელ, ტალახიან მილში. შემდეგ ერთბაშად თავი დიდ დარბაზში ამოჰყო. ატომური ბატარეა ჩართო. შუქმა შემოუარა დარბაზის კედლებს და, როცა ძირს დაეშვა, კამკამა ტბას გადასწვდა.

ინჟინერმა მოზრდილი ქვა ჩააგდო წყალში. ქვა ყრუ ხმაურით ჩაიძირა. „ღრმაა“, გაიფიქრა მერაბმა და შუქით კვლავ შემოზომა ტბის კიდე-განი. „უდაოა, სადღაც გაედინება“. ინჟინერმა ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო, დაჭმუჭნა და ტბაში ჩააგდო.

წყალმა ქაღალდი ნელა, ძალიან ნელა წაიღო. მერაბი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ქაღალდის მოძრაობას. თითქმის საათის ლოდინი დასჭირდა, სანამ წყალი ქაღალდს ერთ კუთხეში მიიტანდა.

— დიახ, იგი გამდინარეა, — თქვა ხმამაღლა ჯაიანმა.

ერთი კვირის შემდეგ პირველი ექსპედიცია შევიდა მღვიმეში. სპელეოლოგები ყვინთვით გაძვრნენ ტბის ქვეშ და დედამიწის ქერქში ჩაიჭრნენ. ორი კვირა მათთან განუწყვეტელი კავშირი იყო. მაგრამ აი, ერთ დღეს უფსკრულიდან გაისმა შეშინებული ხმა:

— ჩვენ ჯოჯოხეთში ვართ. თითქოს ჩვენს საქმიანობას ვიღაცები ფარულად ადევნებენ თვალყურს. გუშინ შაქრით სავსე ყუთი მოგვპარეს. არ ვიცით რა ხდება.

ეს იყო და ეს. დილით უფსკრულთან რადიოკავშირი შეწყდა, ხოლო შუადღისას დამხმარე ჯგუფი ჩაეშვა მღვიმეში. ჯგუფი კარგად იყო აღჭურვილი და საეჭვოა, რაიმე ხიფათს ადვილად გადაჰყოლოდნენ. ისინი სწრაფად მიიწევდნენ სულ ქვევით და ქვევით და ძუნწ ცნობებს გადმოსცემდნენ. მერვე დღეს რაციით დაკავშირება მხოლოდ ერთხელ მოხერხდა. „წინ მივიწევთ, ყოველ საჭირო მომენტში დაგიკავშირდებით!“ — გაისმა ყურმილში ჯგუფის წევრის ანდრო ვაშაძის ხმა.

ამაოდ ეძებდნენ შემდეგ ამ ხმას მიწის ზემოთ მყოფი ადამიანები, იგი გაქრა და საიდუმლოებით იქნა მოცული.

* * *

მესამე ექსპედიციაც მზად იყო.

მერაბი ჯიხურიდან გამოვიდა. უფსკრულის ჩასასვლელთან უკვე ფუსფუსებდნენ ბიჭები. შავტუხა ლევანს, რომელიც უკვე გამოთხოვებოდა თმებს, ბრინჯაოსფერი კომბინეზონი ჩაეცვა და ყელთამდე შეკრულს თავიღა მოუჩანდა. ნოდარი დამჯდარი იცვამდა გრძელსა და ელასტურ სპეცკოსტუმს. იქით აყლაყუდა გივი იდგა.

ხვრელში პირველი ჯურხა შეძვრა. სწრაფად განვლო მთელი ხვრელი და დარბაზში ატომური ნათურა ჩართო. ერთბაშად მის ირგვლივ საშინელი შრიალი ატყდა. ათასობით ღამურა ხმაურით დაჰქროდა ცხვირწინ. თითქოს და კიდეც უნდა შეხებოდნენ ჯურხას, მაგრამ, რაღაც სასწაულით, სწორედ იმ დროს უქცევდნენ გვერდს, როცა ზედ უნდა შესკდომოდნენ.

მალე ხვრელში მერაბი გამოჩნდა, შემდეგ გივი და ნოდარი გამოძვრნენ, კვალდაკვალ ლევანიც მოჰყვათ. ახლა ტვირთი გამოჩნდა ხვრელში.

მერაბმა ტბასთან ჩაიმუხლა.

— უყურეთ, წყალი იქ მიძვრება, იქ უნდა გავტოპოთ!

პლასტმასის ბურთულა ტბაში ისროლა. წყალმა ბურთულა ნელნელა წაიღო და ხვრელში გააძვრინა. ჟანგბადის ბიდონები მოიკიდეს, წყალგაუმტარ ზეწარში შეხვეულ ტვირთს კაპრონის ბაწრები მოაბეს და წყალში შეცურდნენ. წინ კვლავ ჯურხა წავიდა. ხვრელთან ჩაყვინთა, თან ერთი დიდი შეკვრა ტვირთი გაითრია. ცივ წყალში მიცურავდა. შუბლთან ანთებული ნათურის შუქზე ხედავდა კირქვის ქიმებს. ერთბაშად ქიმზე რაღაც თეთრი, ერთიციცქნა გამჭვირვალე არსება შენიშნა. ჯურხა ჩუმად მიცურდა მასთან და ხელი გაიწვდინა. იმ წამსვე წივილი მოესმა, ის უცნაური არსება კი ხელიდან გაუსხლტა.

კარგა ხანს მიარღვევდა კრიალა წყალს, დაიღალა. ბოლოს, როგორც იყო, იგრძნო, რომ ამ ქვის მილიდან გამოძვრა. თავი აღმართა და ახალი სამყოფელი გააშუქა. ეს იყო მომცრო დარბაზი, არც თუ ისე მაღალი ჭერით. ჯურხა ნაპირთან მიცურდა, აათრია მძიმე ტვირთი და ახლა ამხანაგებს დაელოდა. წყალში უკვე გამოჩნდა მერაბის პატარა ჩაჩი.

ჯურხა ამხანაგებს შეეშველა ტვირთის ამოტანაში.

სწრაფად გაცოცდნენ ხვრელში. ხრიალით მიითრევდნენ ზურგჩანთებს. თითქმის ათი წუთი მიხოხავდნენ, მერე თავი პატარა დარბაზში ამოჰყვეს. დარბაზის ჩრდილოეთ მხარეს ჯურხამ ჭა იპოვა.

—აი, აქ უნდა ჩავეშვათ.

მერაბმა ჭაში თავი ჩაჰყო. იქიდან ყრუ, დაგუბული ხმაური ისმოდა. ამასობაში ჯურხამ ხელებზე თოკი შემოიხვია და ჩაშვება იწყო. იგი სწრაფად გაუჩინარდა ხვრელში.

— მომაწოდეთ ტვირთი! — მოისმა მისი ხმა.

ტვირთი ჩაუშვეს. ჯურხა აუჩქარებლად ხსნიდა კაპრონის თოკიდან ზურგჩანთებს და პატარა ქიმზე ალაგებდა. გალაჯული ფეხებით იგი თიხანარევ ჭოჭყოში იდგა. დამძიმებული ფეხსაცმელებით ეფლობოდა და ამიტომ დროდადრო ფეხს ინაცვლებდა.

ბარგის შემდეგ თოკს გივი ჩაჰყვა. ფეხები უშნოდ გაეჩაჩხა და ბზრიალით ეშვებოდა. თან ისეთი ხმაურით ავსებდა იქაურობას, გეგონებოდათ მთელი ხვრელი ინგრევაო. ჯურხამ გვერდზე ისკუპა და გივის დასადგომი ადგილი გაუთავისუფლა. გივი დაეშვა და იმ წამსვე მუხლებზე დადგა.

— კისერი კინაღამ მოვიტეხე! — დუდღუნებდა ის.

მერაბი უფრო სწრაფად და უხმაუროდ ჩაეშვა. არც დანარჩენებს აუტეხიათ დიდი დავიდარაბა. ზურგჩანთები ისევ მოიგდეს და ცივსა და ნესტიან ტალანს გაჰყვნენ.

ჯურხა კვლავ წინ მიაბოტებდა. სასაცილოდ ჭრაჭუნებდა სველი ფეხსაცმელები. ზედ მიწებებული თიხის კოლბოხები შესამჩნევად ამძიმებდა. მაინც მტკიცედ და თამამად მიაბიჯებდა. ტალანი სულ ქვევით და ქვევით ეშვებოდა. იქიდან ძლივს აღწევდა ყრუ ხმაური.

— ქვევით მდინარეა.

— ნამდვილად მდინარის ხმაურია, — დაეთანხმა მერაბი, — არც თუ ისე შორს იქნება.

ჯურხამ საბჯენი ჯოხი ჭოჭყოში ღრმად ჩაასო. როცა ნათურა მერაბს შეანათა, მის შეფაკლულ სახეს წააწყდა. მერაბი იღიმებოდა და ნათურის შუქზე თვალებს ხუჭავდა.

— დაღლილხარ, მერაბ, — გაიღიმა ჯურხამაც.

— მართლა დავიღალე, აწი, ალბათ, შესვენებაც მოგვიწევს.

პირველი ბანაკი კირქვის მოზრდილ დარბაზში მოაწყვეს. ჯურხამ ერთი ატომური ნათურა კედლის ქიმზე დაჰკიდა და იქაურობა დღესავით გააჩახჩახა.

— მარგალიტები! მღვიმის მარგალიტები! — აყვირდა სადღაც დარბაზის კუთხეში ლევანი. — ღმერთმანი, ნამდვილი მარგალიტებია! ნახეთ, რამდენია, მთელი საუნჯეა!

პირველად გივი მიიჭრა ლევანთან და პაწია კირქვის ორმოებში უამრავი მღვიმური მარგალიტი დაინახა.

— ხელს ნუ ახლებთ, — თქვა მერაბმა, — ესენი აქვე დავტოვოთ და უკან დაბრუნებისას წავიღოთ. აბა, ახლა სად ვათრიოთ?!

— ოღონდ, ადგილი დავინიშნოთ, — დაეთანხმა ჯურხა.

გივიმ ყველაზე დიდი სვეტი აარჩია, ზედ სამმაგად შემოახვია კაპრონის თოკი, მერე ფურცელი აიღო და ყველაფერი დაწვრილებით ჩაინიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯადოსნური დარბაზი

შვიდი საათი გაუნძრევლად ეძინათ. მერაბი ძილში ოხრავ-და, ყრუდ კვნესოდა. როცა გამოეღვიძა, საფეთქლების ტკივი-ლი იგრძნო, თვალები ეწვოდა და ბეჭებში ტეხდა.

კარვიდან ჩუმად გამოძვრა. ცივმა ჰაერმა სახე აულანძა. ვარჯიშს შეუდგა. ვარჯიშობდა გულდაგულ და დიდხანს. შემ-დეგ ცივი ნაკადული იპოვა და სახეზე წყალი შეისხა. ამასო-ბაში კარვიდან ერთმანეთის მიყოლებით სხვებიც გამოლაგ-დნენ.

— ასე ტკბილად ჩემს დღეში არ მიძინია. ეშმაკს პირდა-პირ ჯოჯოხეთისაკენ რომ ვეთრიე, მაინც ვერაფერს გავიგებდი, —ხუმრობდა ჯურხა და პერანგს ზანტად იხდიდა.

— საჩაიე წყალი გამიჭუჭყიანა ამ მუდრეგმა! — ბუზღუ-ნებდა გივი მერაბზე და ჩაიდანს მეათედ ავსებდა.

საუზმეს მორჩნენ, კვლავ აიკიდეს ბარგი და გზას გაუდგ-ნენ. მიწისქვეშა მდინარის ხმა ახლა სულ ახლოს ისმოდა. ჯურხა გრძნობდა, რომ საცაა მდინარის ტოტში შევიდოდნენ. ამასობაში ჭერმა შესამჩნევად დაიწია. უკვე წელში მოხრილ-ნი მიაბიჯებდნენ.

ტალანი ახალ დიდ ტალანს შეუერთდა. ამ დიდ ტალანში ხმაურით ეშვებოდა მიწისქვეშა მდინარე. ჯურხა ფრთხილად შევიდა წყალში. არც თუ ისე ღრმა აღმოჩნდა მდინარე, მაგ-რამ ყინულივით ცივი და გამჭვირვალე იყო. ფრთხილად დაჰ-ყვნენ მდინარეს. იგი სულ ქვევით და ქვევით ეშვებოდა. შემ-დეგ მდინარე ერთბაშად გაქრა, გაძვრა დაბზარულ ლოდებში და უკან დატოვა გაკვირვებული ადამიანები.

მერაბი ჯოხით დიდხანს სინჯავდა დაბზარულ ლოდებს. ჯურხამ ნათურით შემოუარა მღვიმეს.

— გზა! — იყვირა მან და ნათურა მარჯვნივ ღიად დარ-ჩენილ კლდის შავ ხახას აღარ მოაშორა.

ეს იყო არც თუ ისე დიდი გასაძრომი, ადამიანს შეეძლო შიგ ოთხით ევლო. ეჭვი არ იყო, ერთადერთი გზა ქვესკნელი-საკენ აქედან მიდიოდა.

— ერთი ამას დამიხედეთ!

ჯურხამ შესასვლელთან დაგდებული კონსერვის ცარიელი ქილა აიღო.

— ჩვენების დაგდებულია, — ჩაილაპარაკა გივიმ.

— აქ გაუვლიათ.

მერაბმა ქილა ჩამოართვა ჯურხას, დაათვალიერა.

— წავიდეთ!

სასწრაფოდ დაიძრნენ. მერაბს კვლავ თავი უბრუოდა. სა-ფეთქლები ეწვოდა, მაგრამ მაინც მტკიცედ მიხოხავდა. იგი მხოლოდ და მხოლოდ ჯურხას ფეხსაცმლის ლანჩებს ხედავდა. ხანდახან მისი შეძახილიც ესმოდა. ხმა რაღაც მჭახედ და და-გუბულად აღწევდა მერაბამდე. ზოგჯერ მერაბს რაღაც შე-მაზრზენად ეჩვენებოდა ეს შეძახილები. უცებ მის თვალწინ ერთბაშად აღიმართა ჯურხა, აღიმართა მთელ სიმაღლეზე. მან მეგობრის გაოცებული შეძახილიც გაიგონა. დიახ, მან აშ-კარად გაიგონა, როგორ დაიყვირა ჯურხამ: „ღმერთო ჩემო, ჩვენ სამოთხეში ვართ!“.

მერაბი სწრაფად გაიჭრა ხვრელიდან და ფეხზე ტორტმა-ნით დადგა. მას თვალი მოჭრა სხვადასხვაფერად აელვარე-ბულმა დარბაზმა. ეს იყო დედამიწის გულში ჩამარხული დი-დებული საოცრება. მაღალი ჭერიდან ძირს დაშვებულიყვნენ მწვანე და წითელი, ყვითელი და ლურჯი სტალაქტიტები. მათ შესახვედრად ქვევიდან ასევე აღმართულიყვნენ ნაირფერი სტალაგმიტები. ფერების ისეთი სიუხვე იყო, — კაცი იფიქ-რებდა, ირგვლივ ქვები კი არა, უამრავი ყვავილის საოცარი ბაღიაო.



სპელეოლოგები გაოცებული იდგნენ სხვადასხვაფერად აელ-ვარებულ დარბაზში. ეს იყო დედამიწის გულში ჩამარხული დიდებული საოცრება.

დიდი სვეტის ძირში კარავი გაჭიმეს. ნოდარმა ზურგჩან-თიდან ნეილონის ლეიბები ამოაწყო, ლევანმა სწრაფად დაბე-რა ისინი და კარავში შეალაგა. გივი მზარეულობდა, ხოლო ჯურხა კარავში ატომურ ღუმელს დგამდა.

მერაბმა რაცია ჩართო.

— მიწა! მიწა! ლაპარაკობს უფსკრული! ლაპარაკობს უფს-კრული! გავიარეთ 1 000 მეტრი, ყველაფერი რიგზეა, გადავ-წყვიტეთ აქ გამოვიძინოთ. დილით განვაგრძობთ გზას.

იქ, ზევით, გულისძგერით ისმენდნენ უფსკრულის ხმას.



მერაბმა ნათურით შემოუარა მღვიმეს.

— ამას რა ვხედავ, შეიძლება გავგიჟდე! — ჩურჩულებდა მერაბი. ნათურის შუქს ხან იქით აქნევდა, ხან აქეთ, და გული ბავშვური აღტკინებით უცემდა.

სპელეოლოგები გაოგნებული იდგნენ. მათ სახეზე სიხარული, გაოცება, მოკრძალება და კიდევ ათასნაირი გრძნობა ერთად აღბეჭდილიყო. გივის პირი დაეღო, თვალებს იფშვნეტდა, რაღაცას ბუტბუტებდა და ბრმად მიაბიჯებდა. თავით მწვანე სტალაქტიტს დაეჯახა. სტალაქტიტი ხმაურით მოწყდა და მწვანე, პატარა კრისტალებად დაიმსხვრა.

ჯურხამ ხელჯოხი სტალაქტიტს შეახო.

— მომყევით ფრთხილად, ამ ძვირფას საუნჯეს ნუ დააზიანებთ.

იგი ფრთხილად წავიდა. ხუთიოდე მეტრი გაიარა და შემკრთალი შედგა.

— შეხედე, მერაბ, რისი კვალია?

სტალაგმიტებს შორის დარჩენილ სილიან იატაკზე უშველებელი ხუთთითა კვალი აღბეჭდილიყო. მერაბი დაიხარა და მტკაველით გაზომა. კვალი თითქმის ორი მტკაველი იყო. ნელა წამოდგა და მეგობრებს გადახედა.

— ალბათ, მღვიმის დათვია, — თქვა მან.

— შეუძლებელია, ამ სიღრმეზე ვერ ჩამოაღწევდა, — მოუჭრა ნოდარმა.

— ვინ იცის, იქნებ შეეგუა სიღრმეებს! — არ იშლიდა თავისას გივი.

— წარმოუდგენელ რამეს ამტკიცებ. არ შეიძლება მღვიმის დათვი იყოს! — კვლავ მოუჭრა მერაბმა.

— აბა, მაშ, ეშმაკი უნდა იყოს?! — მხრები აიჩეჩა გივიმ.

კვალი სტალაგმიტებს შორის მიდიოდა. ოციოდე მეტრი გაიარეს და კვალიც გათავდა. კვალი კი გათავდა, მაგრამ დამსხვრეული სტალაგმიტებით იგრძნობოდა, რომ ის უცნაური არსება სწორედ იქით წასულიყო.

— აი, კიდევ ერთი საოცრება! — ჯურხამ ხელში აიღო იატაკზე დაგდებული თევზის ნარჩენი, — სულ ახლახანს დაუჭერიათ, ნახეთ, ახალია!

მერაბმა თევზის ნარჩენები დაათვალიერა, არაფერი უთქვამს, უსიტყვოდ დააგდო და რაცია ჩართო.

— მიწა, მიწა! ლაპარაკობს უფსკრული! ვიმყოფებით ჯადოსნურ დარბაზში. ირგვლივ სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების ნაირფერი ყვავილნარია. ასეთი სილამაზე ჯერ არსად გვინახავს. ვიპოვეთ რაღაც გიგანტური ცხოველის კვალი. თუ სადმე გადაგვეყარა, კარგ დროს გაგვატარებინებს...

მერაბმა რაცია გამორთო და ზურგზე მოიგდო.

— წავიდეთ.

ჯადოსნური დარბაზი ძალიან შორს მიდიოდა. სპელეოლოგები ისე ფრთხილად მიაბიჯებდნენ, თითქოს მათ წინ სტალაგმიტები კი არა, ადამიანები იდგნენ. ერთბაშად ისევ ხვრელს წაადგნენ, საიდანაც ყურთასმენის წამღები შხუილი ისმოდა.

შედგნენ, ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

ხვრელი არც თუ ისე ვიწრო იყო, ბიჭებში მოწრიალენი თავისუფლად მიიკვლევდნენ გზას. გზას კი ბოლო არ უჩანდა. მერაბს გული საშინლად ერეოდა. თვალებიც დაენისლა და ზედ რაღაც ვარდისფერი ბურუსი გადაეკრა. მერე, ის იყო ყავისფერი გრანიტის ერთ ფართო აივანზე, გზა ნალისებურად უხვევდა და იქ, შუაგულში, თითქოსდა ზეცა ჩამოინგრაო, რძისფერი ზვავი იღვრებოდა. ეს იყო მსოფლიოში ჯერ არნახული ჩანჩქერი. ჯურხამ სცადა ქვემოდან შუქით მიწვდომოდა ჩანჩქერის დასაწყისს, მაგრამ თვით ატომის ყველაზე მძლავრი ნათურაც კი უმწეო აღმოჩნდა ამ საქმისათვის.

— აქ თავდება, ალბათ, ყველაფერი. ეს გიგანტური ჩანჩქერი ჰკეტავს ყველაფერს. ჩვენები, ალბათ, შეეცადნენ გაეგრძელებინათ გზა და ამაო ძიების მსხვერპლნი გახდნენ, — მწუხარებით ჩასძახა გივის ყურში მერაბმა.

— ვაი თუ აგრეა! — მიუგო გივიმ.

ჯურხა კი, უტეხი და ურჩი ჯურხა, კუშტად გაჰყურებდა გრანიტის ციცაბო კლდეებს...

— შევეცდები ვიპოვო გასასვლელი. არ შეიძლება აქ თავდებოდეს ყველაფერი. გივი გამოუშვი ჩემთან.

მერაბმა თავი დაუქნია, ჯურხამ ხელი ჩაავლო გივის. ფრთხილად გაჰყვნენ კირქვის დერეფანს. მერაბი ოხვრით დაჯდა და ფეხები გამართა.

დერეფანი ძალიან შორს გადიოდა. მალე ზედ მიადგა წყლის ვეებერთელა ნაკადს. ნაკადი შემაზრზენი ხმაურით იღვრებოდა ზემოდან და დერეფნის თავზე გადარბოდა. ჯურხამ ფარნით გაანათა გვირაბი, გივი შეაჩერა, თავი დააწევინა და ჩასძახა: — გავლა შეიძლება, ოღონდ ძალიან ფრთხილად! პატარა გაქანება და, მტრისას, ვეღარავინ გვიპოვნის! შენ აქ დარჩი, მე კი იმათ მოვიყვან.

გივიმ უხალისოდ დაიქნია თავი, მერე, ის იყო დაჯდომა დააპირა რომ, უცებ, გაჩახჩახებულ დარბაზში თვალი მოჰკრა რაღაც არსებას. ეს იყო, არც მეტი და არც ნაკლები, გიგანტური დათვი, ანდა დათვისმაგვარი რამ. გივი შემდეგ დიდხანს ამტკიცებდა, რომ ამ არსების ზმუილიც კი გაიგონა, მაგრამ ბიჭები ხარხარებდნენ და შეშინებულ მეგობარს ურჩევდნენ, აწი მაინც მარტო აღარ დარჩენილიყო არც მიწის ქვეშ და არც მიწის ზევით.

დაცინვა მეტად მწვავე იყო და გივის სურდა დაეჯერებინა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენება გახლდათ, მაგრამ ასე იყო თუ ისე, როცა ტალანში ჩაეშვნენ, სულ ის გიგანტური არსება ელანდებოდა.

უკან რჩებოდა შემაზრზენი ხმაური.

— ქაღალდი, ქაღალდი! — შეჰყვირა გივიმ და ნესტშეუვალი ფურცელი ჰაერში ააფრიალა.

— სად იყო? — იკითხა მერაბმა.

— აი, აქ, ამ ქიმზე იდო.

ჯურხამ ფურცელი გაშალა და დინჯად ჩაიკითხა.

„ვეშვებით სულ ქვევით და ქვევით. ყველანი ჯანმრთელად ვართ. ანდრო ვაშაძე“.

— ესე იგი, კვალს მივყვებით, — ჩაილაპარაკა მერაბმა.

ამ პატარა ფურცელმა დიდი ხალისი შეიტანა ჯგუფში. თვით გივიმ, აყლაყუდა გივიმაც კი გაშალა მხრები. მხოლოდ მერაბი მიაბიჯებდა აჩაბჩად, მერე სულ მოეშვა, თვალიც აერია და იქვე ტალანში მიწვა.

— აღარ შემიძლია სიარული. უნდა დავისვენო, — ნაღვლიანად თქვა მან.

ჯურხამ ზურგჩანთა მოიხსნა.

— საკაცეზე დავაწვინოთ და ისე ვატაროთ, მერე სადმე დარბაზს წავაწყდებით და იქ დავასვენოთ, — თქვა მან.

— დილიდანვე ვამჩნევდი, რომ კარგად არ იყო, — ჩაილაპარაკა ნოდარმა. მერაბს ჩაჩი გადაუწია და შუბლზე ხე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი დაადო. — სიცხე აქვს. მაგრამ ჯერ ვატაროთ, სადმე მყუდრო ადგილს მივაღწევთ და იქ დავცეთ ბანაკი.

ჯურხამ და გივიმ მერაბი ფრთხილად დააწვინეს ნეილონის გასაშლელ საკაცეზე. მერაბი თითქმის მთლიანად დანებდა ავადმყოფობას. ხელებიცა და ფეხებიც მოსხლეტილი ჰქონდა. გული კვლავ ერეოდა. თვალები დახუჭა და დაძინება სცადა. მაგრამ ძილი არ გაეკარა. ასე მივიდნენ ერთ პატარა დარბაზამდე. აქ ნოდარმა და ლევანმა სწრაფად გააწყვეს კარავი, გაშალეს საწოლი და მერაბი დააწვინეს. ნოდარმა გულდაგულ გასინჯა ავადმყოფი.

— არაფერია, ერთ დღეში გაუვლის, — თქვა მან და მერაბს აბები მისცა.

გივიმ ნავთქურა აანთო და საჭმლის მზადებას შეუდგა.

კარავში ცხელი კერძის ოხშივარი დადგა. მერაბი საჭმლის სასიამოვნო სუნმა თითქოს მადაზეც მოიყვანა. ნოდარი სასთუმალთან დაუჯდა და ნელნელა ახვრეპინებდა წვნიანს.

— ახლა კი ჩაიძინე, — უთხრა მან მეგობარს.

მერაბმა მართლაც ჩათვლიმა ერთ ხანს. ჯურხა და გივი დარბაზის შესწავლას შეუდგნენ, ლევანი და ნოდარი კი კარავში დარჩნენ. მერაბს მაინც არ დაეძინა, წამოიწია საწოლიდან.
— ნოდარ, რაცია მომაწოდე! — თქვა მან. ნოდარმა მიაწოდა, მაგრამ საწოლთან თვითონ ჩამოუჯდა და თვითონვე ჩართო რაცია.

— ალო, ალო! მიწა, მიწა! — ჩასძახოდა შეცვლილი ხმით მერაბი. — მიწა, მიწა-მეთქი! ალბათ, დაეძინა რადისტს! — საყვედურით თქვა მან და იმავ წამს აპარატიც ახმაურდა:

„მისმინე, მიწავ! მისმინე, მიწავ! ვლაპარაკობ უფსკრული! ვიმყოფები ვულკანური კრატერის ფსკერზე ლურჯ ტბასთან, პატარა სოფელში...“

ერთბაშად შეწყდა უფსკრულიდან მოვარდნილი ხმა. რამდენს არ ცდილობდა შემდეგ მერაბი, ეპოვნა დაკარგულთა სადგური, ყველაფერი ამაო იყო.

— გაიგონეთ, გაიგონეთ, ბიჭებო?! — შესძახა მან.

— გავიგონეთ! გავიგონეთ!

— იცანით? თამაზის ხმა იყო, ნამდვილად თამაზ გაბლიანის!

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა ნოდარიც.

— მაშ, ისინი სადღაც ახლოს იმყოფებიან, ცოცხლები არიან და გვეძებენ... ნეტავ სად არის ეს ვულკანური კრატერი?!

— დიახ, კრატერი და თანაც პატარა სოფელი, — თქვა ლევანმა სიხარულით და სიგარეტი ამოიღო..

მერაბი ვეღარ ისვენებდა, რაცია ძირს დადგა და სანახევროდ წამოდგა.

— აგრე არ შეიძლება, ძმობილო, — უთხრა ნოდარმა, — გაგირთულდება და ზევით გაბრუნება მოგიწევს. გიჯობს წყნარად იწვე და გამოშუშდე.

მერაბი დაწვა.

— რას დუმხართ? თქვით რამე! — გაბრაზებით თქვა მან.

— რა უნდა ვთქვათ, სანამ არ ვიპოვით იმ ხალხს, სათქმელი რა გვაქვს? — შეესიტყვა ნოდარი.

გარედან უკვე ისმოდა აჩქარებული ფეხის ხმა. მზვერავები ბრუნდებოდნენ უკან. ლევანმა ისინი გაატარა და, როცა ჯურხამ კარავში შესასვლელი გადაწია, მიაძახა:

— ვიპოვნეთ! ვიპოვნეთ!

— ვინ იპოვნეთ? — მკვეთრად შემობრუნდა ჯურხა და ჩაჩი გადაიძრო.

მერაბმა თავის გადაქნევით ანიშნა ნოდარს, შენ უამბეო, თვითონ ოფლში გაღვრილიყო და თვლემდა.

— რაცია ჩავრთეთ, მიწას ვეძახდით, მიწა კი დუმდა. ერთბაშად სხვისი ხმა ჩაერია, თამაზის ხმა იყო, გაბლიანის...

სადღაც ვულკანური კრატერის ფსკერზე არიან, ლურჯ ტბასთან. თითქოსდა იქ რაღაც სოფელიც არსებობდეს.

— არაფერი მესმის! მეტი?! მეტი?! — გაიოცა ჯურხამ.

— ეს არის და ეს, მეტი ვერაფერი შევიტყვეთ. მთავარია, რომ ცოცხლები არიან...

## დუმან დიდრონი ლოდები

კარავში მერაბს ღრმა ძილით ეძინა. შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარული, ლევანმა მზრუნველობით მოწმინდა.

— გამოიძინებს და კარგად იქნება, — თქვა მან.

ჯურხა წამოდგა.



გივიმ ნათლად დაინახა რაღაც არსება—გიგანტური დათვი თუ დათვის მაგვარი რაღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდით, მე და გივი დავზვერავთ, რაღაც გული არ მითმენს. ვიცი, არ დამეძინება და ვერ მოვისვენებ. იქნებ სულ ახლოს არიან და უჭირთ.

— ჩვენც წამოვალთ, — თქვა ნოდარმა.

—არა, ხომ უნდა დარჩეს ვინმე ავადმყოფთან.

— ნოდარი დარჩება, მე კი თქვენთან ვიქნები, — კბილებიდან გამოცრა ლევანმა.

— თუ აუცილებელია, დავრჩები, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნოდარმა.

სამი ვაჟკაცი ნელა გაჰყვა ტალანს. ნოდარი კარავში დარჩა. მაჯა გაუსინჯა ავადმყოფს. მერაბი ახლა უფრო მშვიდად სუნთქავდა.

ნოდარი გარეთ გამოვიდა და ტალანს გახედა. „ისინი, ალბათ, უკვე შორს არიან“, — გაიფიქრა მან და უნებლიედ ფეხი წინ გადადგა.

იგი ნელა გაჰყვა ტალანს, მერე ფეხს აუჩქარა. მალე ერთ მოზრდილ დარბაზში გავიდა. ცოტაც გაიარა და წყლის შხუილი მოესმა. წყალი სადღაც კედლიდან იღვრებოდა და სამი მხრით მიიკვლევდა გზას. ერთი, ყველაზე დიდი ნაკადი კირქვის დიდ კალაპოტში მიშხუოდა და შემდეგ ჩაბნელებულ ჭიშკარში იკარგებოდა.

ნოდარი სწორედ ამ ნაკადს გაჰყვა. ძლივს მიიკვლევდა გზას ვიწრო ხვრელში. პირდაპირ ცივსა და ანკარა წყალში მიაბოტებდა. ფეხი უცურდებოდა. ერთხელ კარგა მაგრად წაიბორძიკა და თავით სიპ ქვას მიეჯახა. უეჭველად ცუდად დამთავრდებოდა ეს უნებლიე წაბორძიკება, რომ ხელებით მოზრდილ სტალაქტიტს არ ჩასჭიდებოდა. ბურტყუნით განაგრძო გზა. მეორედ ფეხები აუცურდა და ბეჭებით დაენარცხა. ზლაზვნით წამოდგა და ისევ გაჰყვა წყლის ნაკადს. არ ახსოვს რამდენ ხანს მიდიოდა, მაგრამ, ალბათ, ბევრი იარა, რადგან ძლიერ დაიღალა. შემდეგ ამაოდ ჩათვალა ყველაფერი და უკან გამობრუნდა. ახლა უფრო უჭირდა სიარული, წყალი წინიდან აწყდებოდა შხუილით. „სისულელე გავაკეთე!“ — ცხარობდა თავისთავზე ნოდარი და უფრო გამწარებით მიიწევდა. „ვინ იცის, ისინი შეიძლება უკვე დაბრუნდნენ და ჩემზე დარდობენ“.

გზა ძლიერ გაგრძელდა. ნოდარს მოეჩვენა თითქოს მთელი ათი-თორმეტი საათი მიდიოდა. შემდეგ, როგორც იყო დარბაზამდე მიაღწია. სიარული აღარ შეეძლო და იქვე მშრალ ლოდზე დაეგდო. ძილიც ეპარებოდა, მაგრამ დაძინებას სრულებითაც არ აპირებდა, თავი წამოეწია და წყლის ჩხრიალს უგდებდა ყურს. ერთ ხანს ასე იყო, შემდეგ ზოზინით წამოდგა და ნაცნობ ტალანს გაჰყვა.

და უცებ... შორიდანვე შენიშნა ნოდარმა, რომ კირქვის ლოდებთან კარავი აღარ ჩანდა. ჯურხა, ლევანი და გივი მოჩვენებებივით მოძრაობდნენ პატარა მოედანზე. ისმოდა მათი ხმამაღალი ლაპარაკი და ყვირილი. ამ ყვირილში მან კარგად გაიგონა თავისი სახელიც. მაშინ დაცეცხლა ნოდარს და ფეხს აუჩქარა.

მას შორიდანვე მოჰკრეს თვალი. მისკენ გამოქანდნენ. გივიმ ყველანი უკან ჩამოიტოვა.

—რა დაგემართათ, რა მოხდა? სად არის მერაბი?—ყვირილით მივარდა გივი ნოდარს.

— როგორ! განა კარავში არ წევს! — გაიკვირვა ნოდარმა.

გივი ბეჭებში ჩააფრინდა, ისე იყო აფორიაქებული, რომ ნოდარი დარწმუნდა, ბანაკში რაღაც დიდი უბედურება დატრიალებულიყო, და მუხლებში მოეშვა. ახლა თვითონ ჩააფრინდა გივის მკლავებში.

— თქვი, ნუ დამტანჯე, რა მოხდა?!

ჯურხა მიხვდა, რომ ნოდარს წარმოდგენაც არ ჰქონდა ბანაკში მომხდარ ამბებზე. ორივეს უყვირა:

— რას დაგიჟდით, მოითმინეთ!

ისინი ნელა მივიდნენ ნაბანაკართან. ნოდარმა ახლაღა გაარჩია კირქვის ლოდებზე შერჩენილი კარვის ნაფლეთები, დაფხრეწილი ლეიბები, უწესრიგოდ მიმოყრილი კონსერვები. იქ, ზევით კი, ათიოდე მეტრის სიმაღლეზე, ჩანდა კირქვის აივანზე შერჩენილი სურსათით სავსე დიდი ფუთა. ნოდარმა მზერა გაადევნა ფუთას.

— ის ვინ აიტანა იქ?

ჯურხამაც აიხედა და ხელი მოიჩრდილა.

— მართლაცდა, ეს შეკვრა იმ ქანდარაზე როგორ გაჩნდა?

— საოცარია! — ამოილუღლუღა ლევანმა.

— არა, იმას ვერავინ აიტანდა. რაღაც ძალამ გასტყორცნა აქედან, — თქვა გივიმ და ქიმებს აჰყვა, მერე, როგორც იყო, მიწვდა მძიმე ფუთას და ხმაურითა და ხრიალით გადმოაგდო ძირს. უკან დაბრუნებისას დამსხვრეული რაცია იპოვა. იქვე ეყარა ჟანგბადის ბიდონები, საყვინთავი აპარატები, ყოველივე ეს ისე იყო მოფშვნილი, რომ მათ შემდგომ გამოყენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი გახლდათ. გივიმ ერთ წუთს წარმოიდგინა, რომ ამ უფსკრულიდან გასასვლელს დიდი ტბა ფარავდა და ტანში გასცრა. უცებ შეჰყვირა:

— ხედავთ იმ არამზადებს, დაგვიმსხვრიეს ყველაფერი! ჩვენ ვეღარ გავცურავთ ტბას, სამუდამოდ ჩავიკეტებით უფსკრულში!

ჯურხამ ნაღვლიანად ახედა მას.

— შენ საკმაოდ მხდალი ყოფილხარ, მეგობარო! ჩამოდი, მაგის თქმა აქაც შეგეძლო, რაღა მაგოდენა ტრიბუნაზე ადიოდი.

გივიმ ნაძალადევად გაიცინა.

— რად გინდა ასეთი ყალბი აგიტაცია. ვინ დაგიჯერებს, რომ ეს სტიქიის შედეგია. თუ გინდა მაგით გული გაგვიმაგრო, ძლიერ სცდები. მე ვიტყოდი, ვიღაც ჩვენს საქმეებს თვალყურს ადევნებს, ვიღაცას სურს ჩვენი დაღუპვა...

იგი ლაპარაკობდა გაბრაზებით, სვენებ-სვენებით. უფრო შიშით, ვიდრე მხნეობით. არა, კი არ ლაპარაკობდა, არამედ გაჰყვიროდა, გაჰყვიროდა მთელი ხმით. გაჰყვიროდა და ძირს გაშმაგებით ჰყრიდა ყოველივეს, რაც ვიღაცის ხელს ნამსხვრევებად ექცია.

ჯურხა ახლა აღარ ეკამათებოდა გივის. იგი იდგა და მშვიდად ათვალიერებდა ნამსხვრევებს.

— ერთი კარავი ხელუხლები გადარჩენილა, — თქვა ლევანმა და პაკეტები ჯურხას წინ დააწყო.

— გავშალოთ, — ჩაილაპარაკა ჯურხამ.

კარვის გაშლას ლევანი და ჯურხა შეუდგნენ. გივიმ დოინჯი შემოიწყო.

— ნეტავ, რისთვის ირჯებით, სულ ერთია, ის ვიღაცები მოვლენ და ყველაფერს თავდაყირა დააყენებენ. სჯობია ასე შევხვდეთ სიკვდილს.

ჯურხამ მრისხანედ ახედა.

— გონს მოდი, ნუ დაგვჩხავი ყვავივით!

— გეყოფა, გეყოფა, ცოტა ჩვენც მოგვისმინე! სჯობს ის გვითხრა, სად იყავი წეღან! — უთხრა ნოდარმა.

— არ უნდა წასულიყავი! — უსაყვედურა ლევანმაც.

— შეიძლება ასე ჯობდეს, აქ რომ დარჩენილიყო, ალბათ, ახლა აღარც ეს იქნებოდა ჩვენთან, — თქვა გივიმ.

ჯურხამ ახედა, არაფერი უპასუხა. ერთ ხანს დუმდნენ. ჯურხამ თქვა:

— ჩვენ ახლა ისე ვართ დაქანცული და აღელვებული, არა მგონია, რაიმე ჭკვიანური მოვიფიქროთ. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავისვენოთ, კარვები მზადაა. მაგრამ დავაწესოთ მორიგეობა. მოსალოდნელია ისინი კვლავ დაბრუნდნენ და მაშინ მძინარეებს მწიფე მსხლებივით მოგვიპარავენ.



კირქვის ლოდებთან კარავი აღარ ჩანდა. იყო მხოლოდ კარვის ნაფლეთები დაფხრეწილი ლეიბები, უწესრიგოდ მიმოყრილი კონსერვები.

— მორიგეობა აუცილებელია, — დაეთანხმა ჯურხას გივიც, — პირველი მორიგე მე ვიქნები, თქვენ დაიძინეთ. თუ ძილი მომერია, რომელიმეს გაგაღვიძებთ.

გალახულებივით შეძვრნენ კარვებში.

გივიმ უკანასკნელი ფარანიც ჩააქრო და მთლად სიბნელეში დარჩა. სისხლი ისე მძლავრად მოსწოლოდა კისერში, რომ ფიქრის საშუალებას არ აძლევდა. იატაკზე გრძელი ფეხები გასჭიმა, თავი კედელს მიაყრდნო და შეეცადა ეფიქრა მათ მდგომარეობაზე. ერთ წუთს მის წინ გაიელვა მთელმა გზამ ჩხრიალას უფსკრულის შესასვლელიდან ამ პატარა დარბაზამდე.

ერთბაშად რაღაც ხმაური მოესმა. გივიმ ყურები ცქვიტა. ხმაური ძალიან შორიდან მოდიოდა. იგი არ გავდა მიწისქვეშა მდინარის ღრიალს. არა, იგი არც ერთბაშად მოვარდნილი წყლის გამაყრუებელ აფეთქებას გავდა. ეს რაღაც სულ სხვა ხმა იყო. ხმაური ნელნელა ახლოვდებოდა. გივი წამოდგა, ფარანს მაგრად მოუჭირა ხელი. მისი ერთადერთი იარაღი ახლა ეს ფარანი იყო. ეჭვი არ იყო, ვიღაც თუ რაღაც მოდიოდა მათკენ. გივიმ ფარნის ღილს თითი დააჭირა. ირგვლივ ყველაფერი განათდა. გივიმ ნათლად დაინახა იქ, ტალანის ბოლოში ყალყზე შემდგარი რაღაც არსება — გიგანტური დათვი თუ დათვისმაგვარი რაღაც. ამ რაღაცამ გულისგამაწვრილებლად დაუსტვინა, შებრუნდა და მოჰკურცხლა. მოჰკურცხლა და თან საშინელი ხმაურიც გაიყოლია.

გივიმ ჯურხას კარავში თავი შეჰყო.

— ჯურხა, ჯურხა!

ჯურხა თვალებს იფშვნეტდა.

— მე ვნახე ის, ჯურხა! დათვია, ალბათ, დათვია! ოღონდ ორ ფეხზე მავალი. შეიძლება დათვიც არ იყოს, ზღაპრულ დევსა ჰგავს.

ჯურხამ გაკვირვებით შეხედა მეგობარს. იგი მიხვდა, რომ გივი სრულებითაც არ ხუმრობდა, რომ მან მართლაც რაღაც საშინელება ნახა. თანაგრძნობით შეხედა მეგობარს.

— მაინც რას გავდა, როგორი იყო?

— აკი ვთქვი, დათვს გავდა-მეთქი, მაგრამ, ალბათ, დათვზე სამჯერ დიდი იქნებოდა. თანაც ორ ფეხზე დადიოდა. როცა შუქი ავანთე, რაღაცნაირად დაუსტვინა, გაბრუნდა და გაიქცა. ისე მშვენივრად გარბოდა ორ ფეხზე, — იფიქრებდი, ადამიანიაო.

ჯურხას ახლა გაახსენდა იქ, შორს, ტალანში ნახული ფეხის დიდი კვალი და გივის შეხედა.

— ის კვალი გახსოვს, გივი?

— მახსოვს და სწორედ მისი იქნება, ეჭვიც აღარ მეპარება.

— მოდი, ახლა შენ დაიძინე, მე უკვე დავისვენე.

— არა, არ მეძინება, — იუარა გივიმ.

— არ შეიძლება! უნდა დაიძინო! მე მგონი დღეს ის არსება ჩვენთვის ვეღარ მოიცლის, რადგანაც გაიქცა, მაშ, შეეშინდა კიდეც. შეგვიძლია ვიძინოთ. მოდი, მოდი.

ჯურხა გარეთ გამოძვრა. სამაგიეროდ გივი შეძვრა კარავში. შეძვრა და წამსვე მკვდარივით დაეძინა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი ნინო ნაკაშიძე

**ძვირფასო ნინო!** ჟურნალ „პიონერის" რედაქცია და ნორჩი მკითხველები მოგესალმებიან თქვენ, თქვენი დაბადების 90 წლის თავზე, და სიყვარულით აღნიშნავენ თქვენს სახელოვან იუბილეს.

თქვენი ხანგრძლივი ცხოვრება მშობელი ხალხისადმი უანგარო სამსახურის უჭკნობი მაგალითია.

წარუშლელია თქვენი ღვაწლი ქართველი ხალხისათვის. თქვენ ხართ ერთ-ერთი ფუძემდებელი და უახლოესი თანამშრომელი ქართული საბავშვო ჟურნალებისა. მრავალი ათეული წლის მანძილზე თქვენ, თქვენი მოღვაწეობით დაუღალავად ემსახურებოდით ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს.

თქვენი შესანიშნავი პიესები, მოთხრობები და ზღაპრები „ვინ არის დამნაშავე?", „მჭედელი ჰკა და მეფეოხ", „ულუ და თეთ", „მახობელა", „სუნჯა" და სხვები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და სარგებლობენ მკითხველთა შორის. კვლავაც აღიზრდებიან ახალ-ახალი თაობები თქვენს მაღალმხატვრულ ქმნილებებზე.

გილოცავთ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ნორჩი თაობის საკეთილდღეოდ.

ჟურნალ „პიონერის" რედაქცია

ოთხმოცდაათი წელია ჩვენს მამულს ამშვენებს სათნოებით აღსავსე ჭკვიანი ქართველი ქალი, აღმზრდელი მრავალ თაობათა, გულთბილი და მზრუნველი მოამაგე, ღვაწლმოსილი ნინო ნაკაშიძე.

ოთხმოცდაათი წელია სუნთქავს და ცოცხლობს, შრომობს და ხარობს მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ბედნიერებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, მრავალთათვის — დიდედა, ბევრთათვის დედა და დეიდა, ბევრთათვის ძიძა და დაი საყვარელი, ჩვენი ძვირფასი ნინო ნაკაშიძე.

ერთი შეხედვით თითქოს სუსტმა ქალმა, თავისი მხრებით ნახევარსაუკუნეზე მეტ ხანს ზიდა მძიმე ტვირთი ქართული საბავშვო მწერლობისა. საიდან, როგორ, როდის დაგროვდა მის პატარა, მსუბუქ, მაგრამ ლამაზ სხეულში ასეთი დიდი და უშრეტი ენერგია, რომელსაც დაუზოგავად ხარჯავდა იგი მრავალი ათეული წლის მანძილზე, რათა მამულში მხოლოდ სიკეთე დაეთესა? ეს უშრეტი ენერგია მოჰყვა მას დღემდე, მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე. და ჭეშმარიტად ჩვენ ყველას გვახარებს, რომ კვლავ დაუღალავად იღწვის მისი კალამი და ნათელი გონება.

საქართველოსადმი, მისი მომავლისადმი რწმენა, თავდადება და სიყვარული ჩვენს ნინოს მეცხრამეტე საუკუნემ გადმოულოცა. მისი უახლოესი წინაპრები მწერლობაში ილია და აკაკი, ვაჟა და გოგებაშვილი იყვნენ. მათ გარდა ნინოს ჰყავდა მრავალი წინაპარი შორეულ წარსულში — მამულისათვის თავდადებული ქართველი დედები, რომელთა ამაგი ისტორიამ შემოგვინახა და მათი სახეები ტაძრების კედლებს დღესაც ფრესკებად ამშვენებენ. სწორედ მათგან ისწავლა ნინომ, შეიგრძნო, შეისისხლხორცა წმინდათა-წმინდა ჭეშმარიტება სამშობლოს, ერისა და მისი მომავლის ნორჩი თაობის სამსახურისა. მათგან ისწავლა ჯერ ჭირთა თმენა და შემდეგ სიხარული, რომელიც თან ახლავს ხოლმე ყოველთვის ნამდვილ შემოქმედს. მათგან შეიტკბო ჩვენი უბერებელი ქართული ენა და მისი დაუღლელი მსახური გახდა. ჩვენი ბავშვებისათვის იწერებოდა მისი მრავალი წიგნი — კეთილი ოცნებებითა და სურვილებით სავსე. თავს ევლებოდა, დასტრიალებდა იგი საბავშვო ჟურნალებს, რათა ქართველ ბავშვებს ჰქონოდა ნოყიერი, სულიერი საზრდო—„პური ჩვენი არსებისა"; დიდი ამაგი დასდო ნინომ ჩვენს ჟურნალს. რამდენიმე წელია არ შემოსულა რედაქციაში ჩვენი დიდედა ნინო. წლებმა, ხანდაზმულობამ მაინც თავისი გაიტანა. ეტყობა, ძალიან დაიღალა. არცაა გასაკვირი, რადგან დიდიხანია იწვის, ანათებს ეს სანთელი და თითქმის საუკუნეს უახლოვდება.

დიდხანს, დიდხანს ნუ ჩაქრება ეს წმინდა სანთელი ჩვენი მომავალი თაობისათვის.

**რევაზ მარგიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მესაზღვრეთა

# ნორჩი მეგობრები

შორს, მთებში მიყუჟულა საზღვრისპირა სოფელი. მიუხედავად ამისა, დღევანდელი დღით ცხოვრობს იგი მთელ ქვეყანასთან ერთად. ისევე, როგორც სხვაგან, წკრიალებს სკოლის ზარი, გაზეთი არ აკლია სოფელს და რადიო. განსხვავებული და დამახასიათებელი ისღაა ამ სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ დიდსა თუ პატარას, ბერიკაცსა თუ პიონერს ყოველთვის ახსოვთ სახელმწიფო საზღვარი, რომელიც მახლობლად გადის, და მისი უშიშროებისათვის თავს პასუხისმგებლად თვლიან.

უკანასკნელ ხანებამდე არაფრით იყო შესანიშნავი კორტოხზე გადმომდგარი სახლი ამ სოფელში. კოლმეურნეებმა, რასაკვირველია, იცოდნენ, რომ ის სახლი უბრალო საბჭოთა ადამიანს, სოფლის საავადმყოფოს თანამშრომელს, კომუნისტ სულეიმან ცინცაძეს ეკუთვნოდა. იცოდნენ, რომ სულეიმანს ვაჟები ეზრდებოდა.

მაგრამ გავიდა წლები, ბავშვები სკოლაში შევიდნენ და პიონერებიც გახდნენ. ახლა კორტოხზე გადმომდგარ სახლს მთელი რაიონი იცნობს. აკი აქ ცხოვრობენ ძმები ცინცაძეები, რომლებმაც თავი ისახელეს, როგორც ნამდვილმა პატრიოტებმა.

* * *

ნოდარ ცინცაძე შარაგზაზე მოაბიჯებდა და ღიღინებდა. დიაღაც კარგ ხასიათზე იყო, ორ საგანში ხუთიანი მიიღო იმ დღეს. ერთი სული ჰქონდა, ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი სიხარული, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, შარაგზაზე არავინ ჩანდა. მთის ძირში ოდა სახლებს გახედა — არც იმ არე-მარეში ჩანდა ვინმე. სამაგიეროდ, ბილიკზე, რომელიც ტყისკენ უხვევდა, აუჩქარებლად მიმავალ უცხო მამაკაცს მოჰკრა თვალი. ნოდარმა სცადა, ხმა მიეწვდინა მისთვის, მაგრამ მან არა თუ ხმა არ გასცა, ფეხსაც აუჩქარა. ცოტაც და, უცნობი უცებ ხეს ამოეფარა. ნოდარს ეს ამბავი ძალიან ეუცნაურა და გადაწყვიტა მესაზღვრეებისათვის ეცნობებინა...

უცნობი დააკავეს და საბუთები გაუსინჯეს, იგი სასაზღვრო რეჟიმის დამრღვევი აღმოჩნდა.

* * *

აი, მეორე შემთხვევაც: დღე იწურებოდა, როსტომ და თამაზ ცინცაძეები მარწყვის კრეფის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ. ორასიოდე მეტრიღა იყო სოფლამდე, როცა უცხო ქალი შენიშნეს, ქალს ხელკალათა ეჭირა. ბავშვებს შთაბეჭდილება დარჩათ, რომ ქალს გზა დაჰბნეოდა. ასეც იყო, ქალმა ნამდვილად არ იცოდა გზა. ბავშვები შეეჭვდნენ: განა შეიძლებოდა ადგილობრივ მცხოვრებს სოფლიდან ორასიოდე მეტრზე გზა დაჰბნეოდა?! მაშასადამე, ვიღაც უცხო იყო.

ამჯერადაც სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდნენ ყმაწვილები. დროულად დაეხმარნენ მესაზღვრეებს უცნობი ქალის პიროვნების გამორკვევაში...

* * *

პიონერები როსტომ და ნოდარ ცინცაძეები მეშვიდე და მეექვსე კლასში სწავლობენ და «მესაზღვრის ნორჩი მეგობრის» რაზმის წევრები არიან.

თამაზი კი ჯერჯერობით ოქტომბრელია და პირველ კლასში სწავლობს. მაგრამ მასაც კარგად იცნობენ მესაზღვრეები, თამაზმაც დაიმსახურა მათი სიყვარული და ისინი მასაც თავიანთ ნორჩ მეგობრად თვლიან.

მესაზღვრეები ამაყობენ ` თავიანთი აქტიური თანაშემწეებით, — აგერ, სამნი ძმანი «მესაზღვრის ნორჩი მეგობრის» რაზმიდანო! — სიყვარულით ამბობენ ისინი.

**მ. დრუჩინინი**

## რატომ გვაშავებს მზე?

ზოგიერთს, ალბათ, ჰგონია, რომ ყოველგვარი სითბო ან სიცივე აშავებს ადამიანს, ასე არ არის! რამდენ ხანსაც არ უნდა იჯდე ცხელ ღუმელთან, მაინც არ გაშავდები. დიდი ელექტრონათურები ძალზე ძლიერ ანათებენ, მაგრამ გაშავებით ისინიც არ აშავებენ კანს.

ესე იგი მზისა და სხვა სხივებს შორის რაღაც განსხვავება ყოფილა. რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

მზის თეთრი სხივები სხვადასხვა ფერის სხივების ნაერთია. აბა, სცადეთ და მზეს შეუშვირეთ ბროლის რაიმე საგანი,— იატაკზე მრავალფერად ციხარტყელას დაინახავთ. მეცნიერები ასეთ სხივებს სპექტრს უწოდებენ. მისი შემადგენლი ფერადი სხივები, დაწყებული წითლიდან, დამთავრებული იისფრით, თანდათან და შეუმჩნევლად ერწყმიან ერთმანეთს.

სპექტრის ყველა სხივი არ მოჩანს თვალით, მაგრამ ცნობილია, რომ წითელ სხივებს ინფრაწითელი სხივები მოსდევს ხოლო იისფერს — ულტრაიისფერი.

დამტკიცებულია, რომ მზის ყველა სხივი კი არ აშავებს კანს, არამედ მხოლოდ ულტრაიისფერი სხივები. ულტრაიისფერ სხივებს, როგორც წესი, მხოლოდ ძალზე გავარვარებული საგნები გამოასხივებს. ღუმელი, მაგალითად, ორიათას გრადუსამდე ცხელდება, მაგრამ ეს ტემპერატურაც კი არ არის საკმარისი ულტრაიისფერი სხივების გამოსხივებისათვის.

მზე გაცილებით მეტადაა გავარვარებული. ამიტომაა სწორედ, რომ მხოლოდ იგი გამოასხივებს ულტრაიისფერ სხივებს. ამ სხივების დიდ ნაწილს ჰაერის მტვერი შთანთქავს. ამიტომ ადამიანი ყველაზე კარგად იქ შავდება, სადაც ჰაერი სუფთაა და გამჭვირვალე.

ეს სხივები ადამიანისათვის აუცილებელია. ისინი ხელს უწყობენ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, ხოცავენ მიკრობებს.

ულტრაიისფერი სხივების გავლენით კანზე გამოიყოფა მოშავო-მოყავისფრო ნივთიერება — პიგმენტები. ეს არის სწორედ, კანს რომ ფერს უცვლის და აშავებს. თეთრი, მზესშეუჩვეველი სხეულის მზეზე დიდხანს გაჩერება არ შეიძლება.

ულტრაიისფერი სხივები იმდენად აუცილებელია ადამიანისათვის, რომ მეცნიერებმა სპეციალური აპარატი გამოიგონეს, რომელიც ულტრაიისფერ სხივებს ასხივებს. მას ხმარობენ ისეთ ადგილებში, სადაც მზე ნაკლებად ანათებს: შახტებში, ჩრდილოეთის რაიონებში და სხვ.

მაგრამ მზის სხივები ორგანიზმზე ძლიერად მოქმედებს და ჯანმრთელობისათვის დიდი ზიანის მოტანაც შეუძლია, თუ ზომიერად არ ვისარგებლეთ. აქ მარტო კანის დამწვრობას, თავის ტკივილსა და ტემპერატურის აწევას კი არ ვგულისხმობთ, არამედ უფრო სერიოზულ დაავადებასაც. ამიტომ მზის სხივებს მეტად ფრთხილი გამოყენება უნდა.

**ო. გიორგობიანი**



# დაუმთავრებელი ღრეობა

**დავით ბაქრაძე,**
საბჭოთა კავშირის გმირი.

ნახ. გ. გელოვანისა

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-მაიორ სიდორ არტემის ძე კოვპაკის პირველი უკრაინული პარტიზანული დივიზია მტრის ღრმა ზურგში მიიწევდა. მტრის ძალებისა და მისი განლაგების გამოსარკვევად მზვერავები ქალაქ გოროხოვში გავგზავნეთ. დაზვერვაში ქართველი პარტიზანი იასონ ყორყოლიანიც შედიოდა.

ქალაქში მიპარვით შესვლის შემდეგ, ჩვენები ერთ-ერთი შენობის სხვენზე ისე ავიდნენ, რომ სახლის პატრონს არაფერი გაუგია. ავიდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ გერმანელი ფაშისტების მოქმედებას.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სახლში მხეცებივით შემოცვივდნენ მოსახლეობისაგან წანაგლეჯი ნივთებითა და პროდუქტებით დატვირთული ფაშისტები. ათვალიერებდნენ ნაძარცვს, ჩემოდნებში აწყობდნენ და ერთმანეთს სიხარულით უზიარებდნენ, თუ როდის გაგზავნიდნენ ამანათებს ოჯახში. შემდეგ გააწყვეს სუფრა ნაძარცვი პროდუქტებით და ქეიფი გააჩაღეს.

ყველაფერი ეს ყორყოლიანმა დაბრუნების შემდეგ მიამბო: როდესაც ისინი ქეიფობდნენ და ნაძარცვ საჭმელ-სასმელს შეექცეოდნენ, მოთმინება აღარ მყოფნიდა, მე ჩემ მშობლიურ მიწაწყალზე ნადირივით ვიმალებოდი, ისინი კი ბატონ-პატრონებივით პარპაშებდნენო. ცეკვავდნენ არამზადები, მღეროდნენ... ბანიღა აკლდათ... თუ სიმღერა დავამთავრებინეთ, რაღა ბიჭები ვიქნებითო! — ჩაიჩურჩულა ქართველმა პარტიზანმა და „ბანის მიმცემი“ ხელყუმბარა ჰაერში შემართა.

სხვენიდან ხელყუმბარის ჩამოგდება პარტიზანებისათვის სახიფათო იყო. დაელოდენ, სანამ ფაშისტები გაილეშებოდნენ. ჰიტლერელები ჭიქის ყოველ აღებაზე წამოხტებოდნენ ხოლმე და „ჰაილ ჰიტლერო!“ — გაიძახოდნენ.

პარტიზანები უხმაუროდ დაეშვნენ დაბლა. გალეშილი ჰიტლერელები ჩახლეჩილი ხმით რაღაც სიმღერას გაჰკიოდნენ. ამ დროს ჩვენმა მზვერავებმა შეუმჩნევლად კარები შეაღეს, ავტომატები მიაღერეს მოქეიფეებს და ერთხმად შესძახეს:

— ხელები მაღლა!

პირდაღებული მოქეიფენი გაშეშდნენ, სიმღერა დაუმთავრებელი დარჩათ. ასევე პირდაღებული მიიყვანეს ისინი ჩვენს შტაბში. მხოლოდ ერთი, რომელიც კაპიტანი ყოფილიყო, ყოველ წუთში „ჰაილ ჰიტ-

ლერს“ გაიძახოდა და ჯიუტად განაცხადა, არ წამოგყვებითო. მას სიტყვა „ჰიტლერი“ დამთავრებული არ ჰქონდა რომ ბიჭებმა ვეღარ მოითმინეს და საიქიოს გააგზავნეს.

ჩვენ ისინი გამოვაფხიზლეთ და დავკითხეთ. გვაინტერესებდა რას ფიქრობდნენ ფაშისტები ჩვენი დივიზიის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ ყოველ საღამოს თათბირი ჰქონდათ ქალაქის კომენდანტთან, რომელიც ყველა განაყოფის მეთაურისაგან დაჟინებით მოითხოვდა გაძლიერებინათ ქალაქის დაცვა.

ფაშისტური „დამსჯელი დივიზიის“ ოფიცრები და ჯარისკაცები ჩვენი პარტიზანების ხელით იქნენ დასჯილნი. მეორე ღამეს ჩემი პოლკით, ბრძანების თანახმად, წავედი ქალაქ გოროხოვის გასათავისუფლებლად. ვინაიდან თოვლით იყო დაფარული დედამიწა, პარტიზნებს გადავაცვით თეთრი ხალათები და შეუმჩნევლად მივადექით გოროხოვს.

უხმოდ მოვსპეთ ქალაქის მცველები და დაიწყო ბრძოლა გოროხოვის გათავისუფლებისათვის. არ გასულა ერთი საათიც და მტრის კომენდატურის შენობაზე, ქალაქის ცენტრში, ჩვენმა პარტიზანებმა წითელი დროშა ააფრიალეს.

რვა საათის ბრძოლის შემდეგ ქალაქი მთლიანად გავწმინდეთ. დამშეულ მცხოვრებლებს დავურიგეთ ფაშისტებისაგან საწყობებში შენახული პროდუქტები. მეორე დღეს საბჭოთა არმიის მზვერავი ნაწილები შემოვიდნენ ქალაქში. ქალაქი მათ გადავაბარეთ და ჩვენ ისევ მტრის ღრმა ზურგისაკენ გავწიეთ.

# უცნაური გოგრა

ეს ამბავიც დიდი სამამულო ომის დროს მოხდა, 1944 წლის შემოდგომაზე, კოვპაკის დივიზიაში, სადაც მე პირველი პოლკის მეთაური ვიყავი. ჩრდილო-დასავლეთით მივიწევდით. გადავლახეთ მდინარე დასავლეთი ბუგი და პოლონეთის ტერიტორიაზე შევედით.

პარტიზანული რაზმის უფროსი, პოლონელი რობერტ სატანოვსკი, რომელიც ერთი წლის წინ ბელორუსიაში გავიცანი, ახლა ბუგის მარჯვენა ნაპირზე შეგვხვდა თავის რაზმითურთ. ერთ მხარეზე ყოველთვის აკორდეონი ჰქონდა გადაკიდებული, ხოლო მეორე მხარეზე ავტომატი. ძლიერ უყვარდა მუსიკა. თავისუფალ დროს აკორდეონს მოიხსნიდა და დიდხანს უკრავდა გატაცებით.

1960 წლის ივლისში სატანოვსკი ვარშავიდან თბილისს ესტუმრა. რა თქმა უნდა, მეც მინახულა. ომის დამთავრების შემდეგ კონსერვატორია დაემთავრებია და დირიჟორი გამხდარიყო. 1944 წლის შემდეგ უნახავი მეგობარი აღელვებით ჩავიკარი გულში. ჩვენი შეხვედრა საქართველოს კინოსტუდიამ საგანგებოდ გადაიღო. მოვიგონეთ არაერთი ეპიზოდი განვლილი ბრძოლებიდან.

სხვათა შორის, რობერტ სატანოვსკის კარგად დამახსოვრებია ერთი ეპიზოდი: ჩემი პოლკის ერთ-ერთი ასეული, რომელსაც სერგო სერდიუკი მეთაურობდა, პოლონეთში ყოფნის დროს, გაგზავნილ იქნა ხიდის ასაფეთქებლად მდინარე სანზე. მეგზურად პოლონელი პარტიზანი წაჰყვა რაზმიდან.

შემოდგომის ბნელი ღამე იყო. შიგდაშიგ თოვლიც მოდიოდა, მაგრამ მარხილების გამოყენება ჯერჯერობით არ ხერხდებოდა. იძულებული ვიყავით, ასაფეთქებელი ნივთიერება ცხენით გვეზიდა. ასეთ პირობებში უნდა დაგვეფარა 76 კილომეტრი გზა ერთი ღამის განმავლობაში.

ჰიტლერელების გუშაგების [illegible] მოდ მოხსნის შემდეგ [illegible] ქეს, მახლობელ ბაღიდან მოტანილი დიდი მოცულობის გოგრა ჯოხზე ჩამოაცვეს. ეს ჯოხი აფეთქებული ხიდის თავთან დაასვეს, იმ ღამესვე აფეთქების ადგილს თხუთმეტი კილომეტრით დასცილდნენ და ტყეს შეაფარეს თავი.

მეორე დღეს მზვერავებმა ამბავი მოიტანეს. ჰიტლერელთა ზარალის გამომკვლევი კომისია ამ „არაჩვეულებრივი ყალიბის ყუმბარას“, ანუ საიდუმლო გოგრას, ახლოს ვერ მიჰკარებოდა და უკან გაბრუნებულიყო. შემდეგ კი ხმა გავრცელებულიყო რუსი პარტიზანების „ახალი ფეთქებადი იარაღის“ შესახებ. რამდენიმე კვირის შემდეგ იმ აფეთქებული ხიდის მახლობელ სოფელში ჩვენმა დივიზიამ გაიარა. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ქალაქ ლიუბლინიდან და ვარშავიდან „ახალი ტიპის ყუმბარის“ შესამოწმებლად მოწვეული ყოფილა მეორე კომისია, რომელმაც დიდი გაჭირვებით და შიშით მოახერხა უცნაური გოგრის „შემადგენელი ნივთიერების“ გამორკვევა. როგორც შემდეგ ჩვენთვის ცნობილი შეიქნა, პირველი ვაიკომისიის წევრები დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ ფაშისტებს, ბრალი დაედოთ საბჭოთა პარტიზანებთან საიდუმლო კავშირში.

ჩვენს მიერ განადგურებული გერმანელ ფაშისტთა ჯარებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო ხიდი დიდხანს იყო აღუდგენელი.





პუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი

# უნგრელ პიონერებთან




## ლანცჰიდი აღდგენილია

უნგრელ პიონერებს პაიტაშებს უწოდებენ. ამავე სახელწოდებით გამოდის ბუდაპეშტში პიონერული გაზეთიც. „პაიტაში“ — უნგრელ პიონერთა ცხოვრების სარკეა.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა გაბოროტებული ფაშისტები უკან იხევდნენ, ცეცხლს მისცეს უნგრეთის ბევრი ქალაქი და სოფელი, ნანგრევებად აქციეს კულტურის შესანიშნავი ძეგლები, ბუდაპეშტში ააფეთქეს ყველა ხიდი...

მტერი დამარცხდა. დამთავრდა ომი. უნგრელი ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა, თანდათან იშუშებდა ომით მიყენებულ ჭრილობებს. აღდგენილი იქნა ფაშისტების მიერ დანგრეული ქალაქები, სოფლები. ჯერი მიდგა ბუდაპეშტის ყველაზე ძველ, ელიზავეტას სახელობის ლანცჰიდის — ჯაჭვის ხიდის აღდგენაზე. ლანცჰიდი უნგრეთის შესანიშნავმა ოსტატებმა 1839—49 წლებში ააგეს, ფაშისტებმა კი ასე ვერაგულად გაანადგურეს.

ხიდის აღდგენა, მისი პირვანდელი სახით, დიდძალ ხარჯებს მოითხოვდა. ეს პაიტაშებმაც გაიგეს და უფროსებს დახმარების ხელი გაუწოდეს. ბუდაპეშტის ოლბერტფოლბოს რაიონის, პეტეფის სახელობის 1584-ე რაზმეულმა „პაიტაშის“ ფურცლებიდან მოწოდებით მიმართა ყველა უნგრელ პიონერს: შევაგროვოთ ლითონის ჯართი და ამით მთლიანად დავფაროთ ხიდის აღდგენისათვის საჭირო თანხა!

წინასწარი გაანგარიშებით, საჭირო იყო 7000 ტონა ჯართის შეგროვება. „საკმაოდ დიდი ციფრია!“, — ფიქრობდნენ უფროსები, „მაგრამ პაიტაში რის პაიტაშია, თუ ასეთ დროს სამშობლოს არ გამოადგება!“ — თქვეს პატარებმა და საქმეს შეუდგნენ. უნგრელმა პიონერებმა ვალდებულება პირნათლად შეასრულეს და ახლა ბუდაპეშტის მშვენება, 315 მეტრი სიგრძის ლანცჰიდი ძველებური სიდიადით გადასცქერის დუნაის ლურჯ ტალღებს.

## სამი ფერის ყელსახვევი

უნგრელი პიონერები სამი სხვადასხვა ფერის ყელსახვევს ატარებენ. ეს ამბავი ჩვენ გვეუცხოვა და მიზეზი ვიკითხეთ.

ყოველმა საბჭოთა მოსწავლემ იცის, რომ ვიდრე ის პიონერი გახდებოდეს, ჯერ ოქტომბრელთა რიგებში მიიღებენ და ოქტომბრელის სამკერდე ნიშანს აძლევენ, შემდეგ კი რაზმეულის საზეიმო შეკრებაზე პიონერთა ორგანიზაციაში ღებულობენ და წითელ ყელსახვევს უკეთებენ.

უნგრელმა მოსწავლემ კი, პიონერი რომ გახდეს, სამი ეტაპი უნდა გაიაროს. თავდაპირველად მას იღებენ ოქტომბრელთა რიგებში და უფლებას აძლევენ ატაროს ლურჯი ფერის ყელსახვევი. შემდეგში იგი გადაჰყავთ ეგრეთ წოდებულ მოსამზადებელ ჯგუფში და წითელ არშია შემოვლებულ ლურჯ ყელსახვევს გაუკეთებენ. ამ ჯგუფში მოსწავლე წინანდელზე უფრო აქტიური, შრომისმოყვარე და სწავლის წარჩინებული უნდა გახდეს. თუ იგი ყოველივე ამას მიაღწევს, — ღირსად ჩათვლიან ატაროს პაიტაშის წითელი ყელსახვევი.

## მასწავლებლის დღე

ყოველ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, პირველ კვირა დღეს, მთელი უნგრეთი ზეიმით აღნიშნავს ხოლმე მასწავლებლის დღეს. ეს ამ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავი ტრადიციად იქცა. ამ დღეს საუკეთესო პედაგოგებს მთავრობის ჯილდოებსა და სიგელებს გადასცემენ. არც მოსწავლეები ივიწყებენ საყვარელ მასწავლებლებს. ვეშელინ მიკლოშის სახელობის ბუდაპეშტის მეშვიდე რაიონის პიონერულმა რაზმეულმა მასწავლებლებს თავისი გამოზრდილი ყვავილები მიართვა და მერე საკუთარი ძალებით კონცერტი ჩაუტარა.

რაკოც ფერენც მეორის სახელობის 235-ე რაზმეულმა თავიანთი სკოლის მასწავლებლებს საკუთარი ხელით გამოძერწილი ქანდაკებები, ლერწმის კალათები და ფერადი ძაფით ნაქარგი ხალები მიუძღვა. მხოლოდ მარია ტოკაჩმა იზარმაცა: გადაწყვიტა დედისათვის გამოეთხოვა ფული და იმ თანხით მასწავლებლისათვის ეყიდა საჩუქარი. ეს ამბავი სწრაფად გაიგეს მისმა თანატოლებმა და, უნდა გენახათ, როგორ გაკიცხეს მარია.

— როგორ ფიქრობ, მასწავლებელს შენი ნაყიდი საჩუქრით უფრო ასიამოვნებ? — ისმოდა აქეთ-იქიდან პაიტაშების აღშფოთებული ხმები.

— არა, იქნებ ჰგონია, — მასწავლებელი მიიღებს მაგის საჩუქარს! — წამოიძახა ელიზავეტამ.

— მოიცათ, მოიცათ! — საუბარში ახლა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ფორკოშინსკი ჩაერია. — განა შენთვის ეს ამბავი ახალია? ან სად გაქვს იმდენი ფული, რომ მასწავლებელს საჩუქარი უყიდო!

— დედას გამოვართვი, — ძლივს გასაგონი ხმით თქვა მარიამ.

— მით უარესი! ის ფული შენი შრომით არ არის მოპოვებული, იგი შენ არაფრისათვის მიიღე და ამით პაიტაშის სახელი შეარცხვინე.

რამდენიმე დღის შემდეგ, დარცხვენილი მარია შინ ეწვია მასწავლებელს და თავის მიერ პლასტელინისაგან გამოძერწილი იშტვან მეორის ქანდაკება მიუძღვნა. ნასიამოვნებმა მასწავლებელმა კმაყოფილების გრძნობით გამოართვა სახსოვარი და მადლობის ნიშნად შუბლზე აკოცა. მარიას სახე გაუბრწყინდა, — მასწავლებელი ჩემზე არ გაჯავრებულაო.

## 2 ივნისი—პაიტაშელთა დღე

რომელმა პიონერმა არ იცის, რომ 19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა. მაგრამ ყველამ როდი იცის, როდის დაიბადა უნგრელი პიონერების — პაიტაშების ორგანიზაცია.

1946 წლის 2 ივნისს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში შეიქმნა პიონერული ორგანიზაცია. ეს დღე პაიტაშების ორგანიზაციის დაბადების დღედ იქნა აღიარებული. ამას წინათ პიონერებმა თავიანთი ორგანიზაციის არსებობის 15 წლისთავი იზეიმეს. პაიტაშები ამ დღესასწაულს ახალი წარმატებებით შეხვდნენ. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ჯონჯოშის მახლობლად მდებარე მთაზე — მატრაზე 3 კილომეტრი სიგრძის საბავშვო რკინიგზის მშენებლობაში.

მიმდინარე წლის 19 მაისს საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციას 40 წელი უსრულდება. ეს კარგად იციან უნგრელმა პაიტაშებმა და საბჭოთა პიონერებთან ერთად ისინიც ემზადებიან ამ თარიღისათვის.

ქალაქ დებრეცენის პიონერები აგროვებენ მასალებსა და ფოტოდოკუმენტებს იმ საბჭოთა მეომრების შესახებ, რომლებიც უნგრეთის გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ. შეგროვილი მასალებით დებრეცენელი პიონერები ალბომებს დაამზადებენ და თავიანთ საბჭოთა თანატოლებს გამოუგზავნიან პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავის დიდ ზეიმზე.

ქალაქელებს არც სოფლელები ჩამორჩნენ. სოფელ ბუჩოს რაკოც ფერენც მეორის სახელობის 235-ე პიონერული რაზმეულის წევრებმა: მარია ტოკაჩიმ, ილდიკო კინჩეშმა, ევა პოიაკმა და სხვებმა გადაწყვიტეს გამოზარდონ უნგრული ყვავილები და 19 მაისისათვის მოსკოველ პიონერებს გაუგზავნონ საჩუქრად.

**თ. სახაროვი**

**ფოტო ავტორისა.**



**კოშუტის ახალი ხიდი ბუდაპეშტში.**



**უნგრელმა პიონერებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს ქართველ სტუმრებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მატყუარა

დ. ხინთიბიძე

ნახ. ნ. მალიკაშვილისა

კინომოთხრობა

საღამოა. მოისმის სალამურის ხმა. ფერდობზე თხუთმეტი ცხვარი ძოვს. შორიახლო დგას გიგა — 11-12 წლის ბიჭი, პატარა მწყემსური კომბლით ხელში. მეტსახელად მატყუარას ეძახიან.

მყუდროებას ყეფა არღვევს. ცუგრია დედას დაცილებულ ბატკანს უტევს, კანჭებში ეტანება და ცხვრებისაკენ მირეკება. გიგა კმაყოფილებით თვალს ადევნებს ძაღლის გულმოდგინებას. მოულოდნელად დაუსტვინა და შესძახა:

— ცუგრი!

ცუგრია მკვირცხლად შემოტრიალდა, ყურები ცქვიტა და მხიარული ყეფით გიგასთან მიირბინა. გიგამ კომბალი შორს გადაისროლა. ცუგრია ელვის სისწრაფით მოწყდა ადგილს და, კომბალი არც კი იყო დავარდნილი მიწაზე, მიუსწრო, ჰაერშივე სტაცა პირი და პატრონს უკანვე მოურბენინა.

ასე განმეორდა რამდენჯერმე.

გიგა რომ ცუგრიასთან ერთობოდა, ფერდობს ქვევით, ხშირ ბარდებში მიმალული ბებერი მგელი ცხვრებს უთვალთვალებდა და ხელსაყრელ დროს ელოდა ბატკნის მოსატაცებლად.

როცა ცუგრიას წვრთნა მოსწყინდა, გიგამ ირგვლივ მიმოიხედა და მდინარის გაღმა, ტყისპირას მიმავალი კაცი დაინახა. კაცს სანადირო თოფი მხარზე გაედო, წელზე ნანადირევი ფრინველი ეკიდა და თავისთვის დაბალი ხმით მღიღინებდა.

გიგა ჯერ ჩაფიქრდა, მერე ჩაიღიმა და უცებ ყვირილი მორთო:

— არიქა, მიშველეთ! მგელმა ბატკანი მომტაცა!

ყვირილის გაგონებაზე მონადირე შედგა, სწრაფად მოტრიალდა და, თოფმომარჯვებული, გიგას საშველად გამოიქცა.

არც ბებერ მგელს გამოპარვია გიგას მიერ ატეხილი ალიაქოთი. გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ ხშირ ბარდებში შეძრომა ამჯობინა, მიწაზე წაწვა და ცახცახით ელოდა, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი.

მონადირემ გიგასთან მიირბინა და შესძახა:

— რა მოხდა! სად არის მგელი?

— რის მგელი, რა მგელი?.. ვიხუმრე, ბიძია! — თვალების ჭყეტით უპასუხა გიგამ და, არ მცემოსო, უკან დაიხია.



მოტყუებულმა მონადირემ კი წყრომით უთხრა:

— უჰ, შე მართლა მატყუარა!.. ერთხელაც იქნება ინანებ! — მერე უკმაყოფილოდ თავი გაიქნია, თოფი მხარზე გადაიკიდა და გზას გაუდგა.

გიგა კი თავს მხიარულად გრძნობდა, კომბალი მიწაში ჩაარჭო, ზედ თავისი ჭილის ქუდი დაახურა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

— არა, რაც მართალია მართალია, ზორბად მოვატყუე! — შემდეგ გულაღმა წამოწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო.

ცუგრიამ გიგასთან მიირბინა და ხმადაბლა შეჰყეფა. გიგამ წამოიწია და წამოჯდა. ცუგრია წინ დაუდგა, კუდის ქნევა დაიწყო და გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა, თითქოს გიგას რაღაცას ანიშნებდა.

— რაო, ცუგრი! ხომ არ მოგწყურდა? — შეეკითხა გიგა. — წადი, ცხვრების ნუ გეფიქრება, მე აქ არა ვარ?!

ცუგრიამ ერთი სიხარულით შეჰყეფა, შეხტომით შემოტრიალდა და მდინარისაკენ სირბილით დაეშვა. გიგა კი მხართეძოზე წამოწვა, ქამარში გაჩრილი სალამური ამოიღო და დაუკრა.

მსუნაგი მგელი სწორედ ამას ელოდა. საფარიდან გამოძვრა და, ბუჩქებს ამოფარებული, ფეხაკრეფით წამოვიდა. როგორც კი ახლო მივიდა ცხვრებთან, წელში გაიზნიქა, ერთი ნახტომით ბატკანთან გაჩნდა, კბილები ჩაავლო, ზურგზე მოიგდო და საწინააღმდეგო მხარეს გაიქცა. ამის დანახვაზე ცხვრებმა სასოწარკვეთილი ბღავილი ატეხეს. განწირულმა ბატკანმაც მოასწრო შებღავლება.

გიგამ რომ ბატკნისა და ცხვრების გულშემზარავი ბღავილი გაიგონა, სალამური მიაგდო, კომბალს ხელი სტაცა, იქვე ქვაზე შეხტა და ცხვრებისაკენ გაიხედა.

ბატკნის დედა შეშინებულ ცხვრებს გამოყოფოდა და უმწეო ბღალივით იმ მხარეს გარბოდა, საითაც მგელი გაიქცა.

გიგამ თვალი გააყოლა დედა ცხვარს და ზურგზე ბატკანმოკიდებული მგელი დაინახა. ახლა კი საშინელი ხმით მორთო ყვირილი:

— მიშველეთ!.. მგელმა ბატკანი მომტაცა!.. მიშველეთ!..

კომბალი ჰაერში შეატრიალა და ყიჟინით გამოუდგა მგელს.

არც ცუგრიას გამოპარვია ცხვრების ბღავილი და ძახილი. სწრაფად მოტრიალდა და შორიდანვე დაინახა მგელი.

გიგას ყვირილი დაღმართში მიმავალმა მონადირემაც გაიგონა. ერთი შედგა, ყური მიუგდო, მაგრამ გიგას ხმა რომ იცნო, თავისთვის ჩაილაპარაკა:

„ისევ იმ მატყუარას ოინებია! ახლა კი ვერ მომატყუებს!“ — ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

ცუგრია სირბილით იმ მხარეს გავიდა, სადაც მგელს უნდა გაევლო, და მტრის დასახვედრად ბუჩქებს მოეფარა.

გარბის ზურგზე ბატკანმოკიდებული მგელი, ყიჟინითა და კომბლის ტრიალით მისდევს გიგა.

ცუგრია ხედავს, რომ მგელი თანდათან უახლოვდება და საცაა გაუსწორდება მას. აი, ტოტებშუა გამოჩნდა მგლის თავი და ცუგრიამაც ისკუპა, თავგანწირვით ეძგერა მგელს.

მგელი არ დაიბნა, უკანა ფეხებზე შედგა და წინა თათები ჩაჰკრა ცუგრიას. ცუგრიას თვალთ დაუბნელდა და გულაღმა დაეცა. მგელი კვლავ გაიქცა. აქ კი გიგა წამოეწია. მგელმა რომ კომბალმომარჯვებული გიგა დაინახა, მარჯვნივ გაუტია და განიერ ნაპრალს გადაევლო ისე, რომ ბატკანი არ გაუგდია, შემდეგ კი მდინარეში შეცურა.

გიგა სახტად დარჩა. ხედავდა, რომ მგელივით ნაპრალს ვერ გადაახტებოდა. წაქცეულ ცუგრიას ქეჩოში ხელი სტაცა, წამოაყენა და გაქცეულ მგლისკენ მიუთითა.

ცუგრიამ ნაპრალში ჩაირბინა და მდინარეში შევარდა.

გიგამ ირგვლივ მიმოიხედა და კლდის პირას ახალგაზრდა ნაძვის ხე დაინახა, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა. ბევრი არ უფიქრია გიგას და შურდულივით ნაძვისაკენ გაქანდა...

ცუგრიამ მდინარე უკვე გადაცურა, მეორე ნაპირზე გავიდა და გაქცეულ მგელს გამოუდგა.

გიგამ ნაძვთან მიირბინა თუ არა, პირდაპირ კლდის ქიმიდან შეახტა ხეს, მაგრად ჩასჭიდა ხელი კენწეროს და ზედ დაეკიდა. ხე მშვილდივით მოიღუნა, ნაპრალს ზედ გადაევლო და გიგაც თან გადაიტანა.

მონადირემ აღმართი აიარა, სერზე შედგა, მხარზე გადაკიდებული თოფი მოიხსნა და დასასვენებლად ჩამოჯდა. ამ დროს ნაძვის კენწეროზე ჩამოკიდებული გიგა შეამჩნია, მერე ზურგზე ბატკანმოკიდებული მგელიც დაინახა. მიხვდა მონადირე, რაშიც იყო საქმე, და თოფი ფეხზე შეაყენა.

გიგამ ხის წვერს ხელი გაუშვა, ნაპრალის მეორე ნაპირზე ჩამოხტა, მგელს გზა გადაუჭრა და მთელი ხმით შესძახა:

— ჰაიტ, შე ავაზაკო!

მგელმა გვერდი აუქცია და მარჯვნივ გაიჭრა, საითაც ტყე ეგულებოდა. იმ მხარეს კი თოფშემართული მონადირე იდგა.

მირბის ზურგზე ბატკანმოკიდებული მგელი. უკან მისდევენ გიგა და ცუგრია.

მონადირე ხედავს მის მხარეს გამოქცეულ მგელს, მაგრამ თოფის სროლისა ეშინია — გიგას არ მოხვდესო. არა და, ხედავს, რომ მგელმა შეიძლება ტყეში შეასწროს. ამიტომ მონადირემ გიგას დაუყვირა:

— მატყუარავ, მომეცალე!

გიგამ თოფმომარჯვებული მონადირე რომ შენიშნა, ცუგრიას ქეჩოში წაავლო ხელი, ჰაერში აიტაცა და მარცხნივ გადახტა.

მონადირემ კონდახი მხარზე უფრო მაგრად მიიბჯინა, ჩახმახი გამოსწია და თოფმა დაიქუხა.

მგელს ტყვია ბარძაყში მოხვდა, დაეცა და ბატკანიც გააგდო.

გიგა და ცუგრია წაქცეულ მგლისაკენ გაიქცნენ, რომელიც უკვე წამომდგარიყო და დაჭრილ ფეხს მიითრევდა. გიგა მივარდა და ისე მძლავრად დაჰკრა კომბალი თავში, რომ მგელმა მხოლოდ შეღმუვლება მოასწრო, მიწაზე გაიშხლართა და სული განუტევა.

გიგამ ბატკანი ხელში აიყვანა. უსიცოცხლოდ კისერგადაგდებულ ბატკანს ყელთან მგლის ნაკბილარი აჩნდა, საიდანაც სისხლი მოჟონავდა. გიგამ ტირილი დაიწყო. ამასობაში მონადირემ მოირბინა. გიგას ბატკანი გამოართვა და ბალახზე ფრთხილად დააწვინა. შემდეგ ქამრიდან მათარა შეიხსნა და უთხრა:

— ნუ ტირი! ჩქარა, წყალი!..

გიგა გაიქცა და წყლით სავსე მათარა მოარბენინა.

მონადირემ ბატკანს პირი გაუღო და ხახაში წყალი ჩააწვეთა, სახეზეც აპკურა. ბატკანმა თვალები გაახილა, თავი წამოწია და ისევ უღონოდ მიწვა.

— ცოცხალია! — სიხარულით წამოიძახა გიგამ.

მონადირემ ბატკანს კისერი გაუსინჯა და, ჭრილობა რომ შეამჩნია, ჩანთიდან პატარა ქილა ამოიღო, რომელშიაც მალამო ჰქონდა. გიგამ შარვლიდან პერანგის კალთა ამოიწია, გრძლად ჩამოახია და მონადირეს გაუწოდა. მონადირემ ბატკანს ჭრილობა ფრთხილად შეუხვია და ფეხზე წამოაყენა.

შემდეგ გიგას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— გიგა, კარგი ბიჭი ხარ, ტყუილები რომ არ იცოდე. ხომ გაგიგონია: „ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო“. აი, შენზე ახდა ეს ნათქვამი.

გიგამ თვალებში შეხედა მონადირეს და თავი დახარა.

* * *

მზე ჩადის. გიგა ცხვრებს მიერეკება და მხიარულად უკრავს სალამურს. გვერდით მისი საყვარელი ბატკანი მიჰყვება, ცუგრია ხტუნვით ხან წინ გაუსწრებს გიგას, ხან აქეთ-იქიდან ურბენს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რელიგიური ანეკდოტები

## ვინ შექმნა სამყარო

ერთ მღვდელს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ყოველთვის, როცა სიტყვას ამბობდა ან მრევლს რაიმე შეკითხვას აძლევდა, აუცილებლად მუშტი უნდა დაერტყა ამბიონზე.

დიაკონმა გადაწყვიტა გაემასხარავებინა მღვდელი. ამბიონის იმ ადგილას, სადაც მღვდელი მუშტს არტყამდა ხოლმე, წვრილი ლურსმნები ჩაარჭო მალულად.

მოვიდა მღვდელი და შეუდგა ქადაგებას.

— მართლმორწმუნენო, ვინ შექმნა სამყარო? — იკითხა ხმამაღლა.

თან, ჩვეულებისამებრ, მუშტი დაარტყა ამბიონს. დაარტყა და ტკივილისაგან თვალთ დაუბნელდა. აღრიალდა მთელი ხმით:

— ეს დიაკონის ნამოქმედარია, იმ უწმინდური სულისა!

ასე გაიგო მრევლმა, თუ ვინ შექმნა სამყარო.



## ყველაზე უკეთესი

ერთმა კაცმა ნაცნობ-მეგობრები დაპატიჟა. დაჰპირდა, რომ გაუმასპინძლდებოდა ყველაზე უკეთესი რამეთი, რისი შოვნაც კი შეიძლებოდა ბაზარში. მოვიდნენ სტუმრები და რას ხედავენ: მაგიდაზე მხოლოდ წყლით სავსე თასები დგას, ესაა და ეს!

— როგორ! — იწყინეს სტუმრებმა, — შენი აზრით, წყალი ყველაზე უკეთესი რამ არის?

—თვითონ განსაჯეთ, — უპასუხა მასპინძელმა. — წავედი ბაზარში თევზის საყიდლად. ვთხოვე გამყიდველს, კარგი თევზი მოეცა ჩემთვის. გამყიდველი მეუბნება: „უკეთეს ვერ იშოვი, თევზი კი არა, შაქარია“. „აჰა, — გავიფიქრე, — შაქარი თევზზე გემრიელი ყოფილა“ და მაშინვე შაქრით მოვაჭრისაკენ გავემართე.

— კარგია შენი საქონელი? — ვკითხე ვაჭარს.

— შესანიშნავი შაქარია, — მიპასუხა მან, — თაფლივით ტკბილია.

რას ვიზამდი, ავდექი და თაფლის საყიდლად გავეშურე. მივედი, დავხედე და რატომღაც მომეჩვენა, რომ არ იყო კარგი თაფლი.

— რას ამბობ! — აყვირდა გამყიდველი, — შეხედე ერთი,



რა თაფლია! სქელი, ქარვისფერი, როგორც მზესუმზირის ზეთი.

ახლა მზესუმზირის ზეთს დავუწყე ძებნა. როგორც იქნა, წავაწყდი. კარგია? — ვეკითხები ზეთით მოვაჭრეს. „საუკეთესოზე საუკეთესოა, — მესმის პასუხად, — წმინდაა და გამჭვირვალე, როგორც წყალი“.

და აი, მეც წყალი ვიყიდე — ყველაზე უკეთესი რამ, რაც კი იშოვებოდა ბაზარში.

## საზრიანი ბიჭუნა

ერთ ქალს ღმერთების პატარა გამოსახულებები ჰქონდა შინ და ხშირად ლოცულობდა მათ წინაშე.

— დედა, — შეეკითხა ქალს მისი ბიჭუნა, — ეს ძიები ხომ თიხისაა, როგორ დაგეხმარებიან ესენი შენ?

— გაჩუმდი, საძაგელო! — წასჩურჩულა შიშისაგან გაფითრებულმა დედამ, — არ გაბრაზდნენ ღმერთები, თორემ დავიღუპებით.

დედა სადღაც წავიდა, შვილი კი უნებლიედ იმ მაგიდას წამოედო, რომელზედაც ღმერთების გამოსახულებანი ეწყო. ორი ღმერთი გადმოვარდა და ნამსხვრევებად იქცა.

— ეს რა ჩაგიდენია, უბედურო! — შემოიკრა თავში ხელები შინ დაბრუნებულმა დედამ.

— არა, მე არა, — უპასუხა ბიჭუნამ მშვიდად, — თვითონ დაამტვრიეს ერთმანეთი. როგორც კი წახვედი, მაშინვე ცემა-ტყეპა გამართეს.

— ცემა-ტყეპა? ესენი ხომ თიხისაა, როგორ უნდა ეცემათ ერთმანეთი!

— შენ არა თქვი, რომ შეიძლება გაბრაზდნენო? და რაკი გაბრაზება შეუძლიათ, მაშასადამე, ცემაც შეუძლიათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი ჩვენი მეგობარი

## მეცნიერული წიგნები

გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ ამ უკანასკნელ ხანს გამოცემულ წიგნებს შორის საყურადღებოა გიორგი ძოწენიძის მონოგრაფია „ალექსანდრე ჯანელიძე" და გიორგი მელიქიშვილის წიგნი „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები."

აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის მონოგრაფიაში ჩვენი ნორჩი მკითხველი გაეცნობა თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჯანელიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მკითხველი ამ წიგნში დაინახავს, რომ მხოლოდ დიდ შრომას, საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, მშრომელი ხალხისადმი უანგარო სამსახურის წყურვილს შეუძლია მეცნიერების დიდებულ მწვერვალზე აიყვანოს ადამიანი.

ასევე საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია ლენინური პრემიის ლაურეატის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის წიგნი „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები". ვისაც კაცობრიობის შორეული წარსული და კულტურა აინტერესებს, ვისთვისაც ძვირფასია მშობელი ხალხის ისტორია, უსათუოდ უნდა წაიკითხოს ეს წიგნი.

ბავშვებო! წაიკითხეთ ეს საინტერესო და სასარგებლო წიგნები.

არკადი ხუნდაძე

## შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან

„გულს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ალბათ, პირველ სიტყვას განვლილი სიყმაწვილის შესახებ ჩამოგვიგდებდა", — ამ სიტყვებით იწყება სიკო ფაშალიშვილის მოგონებათა წიგნი „შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან", რომელიც ამას წინათ გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა". სწორედ გულის კარნახით მოგვითხრობს მწერალი თავის თავგადასავალს, მოგვითხრობს ყოველივე იმას, რაც თვითონ უნახავს და განუცდია, რაც მის გულსა და გონებაში სამუდამოდ აღბეჭდილა.

წიგნის პირველსავე გვერდებს გასული საუკუნის მიწურულში გადავყავართ. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ერთ-ერთი ქართული სოფელი, მისთვის დამახასიათებელი ყოველდღიური ცხოვრებით, კერძოდ, სოფელი ქვემო მაჩხაანი. აქ გაატარა მწერალმა ბავშვობა და სიყმაწვილე, აქ იწყება მომავალი მწერლის მიერ ბუნების მოვლენებისა თუ ცხოვრებისეული კანონების თანდათანობით შეცნობა. ს. ფაშალიშვილის მშობლები ჩვეულებრივი კახელი გლეხები იყვნენ და მათ ოჯახში უპირველეს საზრუნავს ლუკმაპურისთვის ყოველდღიური, თავაუღებელი შრომა წარმოადგენდა. მწერალმა ჯერ კიდევ ყრმობის დროს შეიცნო ფიზიკური შრომის ფასი, როცა თავის და-ძმებთან და სხვა გლეხის ბიჭებთან ერთად ტრიალებდა კალოზე თუ მინდვრად, მთაში თუ ტყეში. ამ ხანაშივე გაღვივდა მის სულსა და გულში ყველაზე მაღალი, ყველაზე კეთილშობილური გრძნობა — მშობლიური მხარის, სამშობლო ქვეყნისა და „ჩვენი მდიდარი, დარბაისელი, ცეცხლივით მგზნებარე და სასოებასავით მონარნარე" ქართული ენის სიყვარული.

„სწავლა-განათლებაზე ფიქრი საზრუნავად არც მშობლებსა და არც შვილებს არ დაგვყოლია. ანბანა ჩვენს სახლთან, როგორც იტყვიან, „მწყრალად იყო", — გვიყვება მწერალი. მაგრამ ყმაწვილი მოულოდნელად ისე მძლავრად შეიპყრო სკოლაში სწავლის სურვილმა, რომ ერთ მშვენიერ დღეს საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა — მიატოვა ხვნის შემდეგ წყლის დასალევინებლად ალაზანზე ჩარეკილი საქონელი და მამას მაჩხაანის ორწლიან სკოლაში გაეპარა. იქ ყველაზე წარჩინებული მოწაფე გახდა. სკოლა წელიწადნახევარში დაამთავრა, რის შემდეგ, ნაცვლად ქალაქში სწავლის გაგრძელებისა, მამამ პატარა სიკო ისევ მეხრეობას დაუბრუნა.

მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილით, წიგნის სიყვარულით გამსჭვალული ყმაწვილის შინ გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო და რამდენიმე წლის შემდეგ იგი თბილისში ჩამოდის. 1910 წელს ს. ფაშალიშვილი გაზეთ „დროების" რედაქციაში იწყებს მუშაობას და სკოლის გარეშე სწავლასა და თვითგანვითარებას ეწაფება. აი, რას ამბობს მწერალი ამის შესახებ: „იმ პერიოდის ჩემი ცხოვრება შემიძლია შევადარო წყვდიადის საზღვარზე მყოფი კაცის თვალწინ სარკმლის გაღებას, საიდანაც დიდი ვარსკვლავეთის ციმციმი შემოანათებს!"

ს. ფაშალიშვილს თავის ცხოვრების გზაზე ბევრი გამოჩენილი ქართველი მწერალი, ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე შეხვედრია. ბევრთან პირადი სიახლოვე და მრავალ შემთხვევაში მეგობრობაც ჰქონია. ამ დაუვიწყარ ადამიანებზე გვესაუბრება მწერალი დიდი სიყვარულით. წიგნის თავებში: „ოლიმპიელის სახელის დიდი ნათელი", „არწივი ვნახე დაჭრილი", „ხალხის სიყვარულში დაფერფლილი გული", „ერთა ძმობის მომღერალი", „უიღბლო ტალანტი", „არაგვის ნათლული", „რაინდი მგოსანი" და „საქართველოს ბულბული", სადა, მშვენიერი ქართულით, თავისებური შტრიხებით არის დახატული აკაკის, ვაჟას, იროდიონ ევდოშვილის, ოვანეს თუმანიანის, ნიკო სულხანიშვილის, ბაჩანას, თედო რაზიკაშვილის, კოტე მაყაშვილის, ვანო სარაჯიშვილის ნათელი სახეები, ვეცნობით ამ სასიქადულო ადამიანთა ცხოვრების ცალკეულ საინტერესო ეპიზოდებს.



ს. ფაშალიშვილის მოგონებათა წიგნი „შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან" ნორჩ მკითხველს დაეხმარება ჩვენი ახლო წარსულის შესწავლისა და საქართველოს საამაყო შვილთა უკეთ გაცნობის საქმეში.

ხ. შამფრიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ობოლა



ნ. ელიაშვილი

ნახ. გ. თოთიბაძისა

მახსოვს, ჩვენს სოფელში ცხოვრობდა ერთი მოხუცი მონადირე. ყველა, დიდი თუ პატარა, სიყვარულით ძია მიხოს ეძახდა. ძალიან ტკბილი და სასიამოვნო მოსაუბრე იყო. ხშირად გვიყვებოდა თავის ახალგაზრდობაზე, ნადირობაზე, და ჩვენც გულისყურით ვუსმენდით.

ძია მიხოს ერთი მონადირე ძაღლი ჰყავდა, სპენიელის ჯიშისა — ობოლა, რომელიც ძალიან უყვარდა და ძაღლიც ერთი წუთით არ შორდებოდა პატრონს.

ობოლა პატარა ძაღლი იყო; თეთრი, მოკლე და დაგრეხილი ფეხები, მოკლე კუდი და, რაც მთავარია, ისეთი დიდი და გრძელი ყურები ჰქონდა, რომ მიწამდე დასთრევდა და სიარულის დროს მტვრის კორიანტელს აყენებდა.

როცა ძია მიხო რამეს გვიყვებოდა, ობოლაც მის ფერხთით მოიკეცავდა, ენას გადმოაგდებდა და პირდაღებული შესცქეროდა თვალებში, თითქოს ესმოდა რამე.

ერთხელ საკვირველი ამბავი მოხდა: ძია მიხო მარტო იჯდა თავის ეზოს წინ და ჩიბუხს აბოლებდა, ობოლა კი არსად ჩანდა.

გაგვიკვირდა და ვკითხეთ:

— ძია მიხო, ობოლა სად არის?

— ობოლა მიკვდება, ავად არის.

— რა დაემართა!? — ერთხმად შევძახეთ ყველამ.

— მეც არ ვიცი, ბუნაგიდან აღარ გამოდის და... აქამდე უჩემოდ ვერ ძლებდა, ახლა კი ახლოს აღარ მეკარება... მებუტება. მაგრამ თავსაც ვერ მანებებს. ძაღლმა რომ ერთგულება იცის, ეს ძველთაგანვე ცნობილია. შენთან რომ ხმელა პურით ძლივსღა ნაყრდებოდეს, ხოლო სხვასთან მოხარშული ხორცი და რბილი პური თავზე საყრელი ჰქონდეს, მაინც შენთან ყოფნას არჩევს. ობოლაც ასეთი იყო ჩემთვის... სულ პატარა ლეკვი იყო, ერთი მოხუცისაგან რომ ვიყიდე. დედა მგლებმა დაუგლიჯეს და ობლად დამრჩაო, მეც დავბერდი, ნადირობა აღარ შემიძლია და ამის საწვრთნელადაც არა მცალიანო. დიდებული მონადირე ძაღლი დადგება, თუ კარგად გამოწვრთნიო. წამოვიყვანე და, რადგან უდედოდ იზრდებოდა, ობოლა დავარქვი. ვწვრთნიდი, სანადიროდ ხშირად დამყავდა, და მართლაც კარგი მონადირე ძაღლი გამოდგა. ძალიან სწრაფი და ალღოს ამღები იყო, არ გამოეპარებოდა არაფერი, ცაში ფრინველი და დედამიწაზე ჭიანჭველაო, რომ იტყვიან. იხვებზე ნადირობაში ბადალი არა ჰყავდა, ცურვაში ხომ, ნუ იტყვით, ჩემპიონი იყო, — გაიღიმა მოხუცმა.

— ძია მიხო, მოგვიყევი რამე ობოლას ნადირობაზე! — შევეხვეწეთ ჩვენ.

— ერთხელ გადავწყვიტე იხვებზე წავსულიყავი სანადიროდ, — დაიწყო ძია მიხომ, — თოფი გამოვიტანე გასაწმენდად, მაგრამ ობოლამ აღარ დამაცადა, ხელებში და ფეხებში მწვდებოდა, მეწეოდა — ჩქარა, ჩქარაო! მთელი სოფელი აიკლო ყეფით — სანადიროდ მივდივართ.

წავედით. ჩვენი სოფლის ბოლოში მდინარე ჩამოდიოდა და ერთ ადგილას კარგი ჩალიანი იყო, იქ ბევრი იხვი იცოდა. ჩვენ ბედზე, იმ დღესაც უამრავ იხვს მოეყარა თავი. შორიახლოს ჩავუსაფრდი, ობოლაც გაიტვრინა, მოვიმარჯვე თოფი და ზედიზედ ვესროლე, ობოლა უმალვე წამოხტა და თვალის დახამხამებაში ჩალიანში ამოყო თავი, ეცა დაჭრილ და დახოცილ იხვებს და სათითაოდ გამომიყვანა წყლიდან.

ის იყო უკან წამოსვლას ვაპირებდი, რომ ობოლამ ისევ მდინარისაკენ გაიწია. თურმე ერთი დაჭრილი იხვი წყალში დამალვოდა. ზოგი იხვი, ძაღლს რომ დაემალოს, წყალში ჩაყვინთავს ხოლმე, მაგრამ დიდხანს ვერა ძლებს და ისევ ამოჰყოფს თავს, ისევ ჩაყვინთავს და ასე გადაირჩენს ხოლმე თავს. ობოლამ უყურა, უყურა და უცბად მოსწყდა ადგილს. უმალვე იქ გაჩნდა, სადაც იხვმა ჩაყვინთა... მაგრამ დახეთ ობოლას მოხერხებას! კი არ დაელოდა იხვის ზევით ამოსვლას, არა, თვითონაც ჩაყვინთა, ქვევიდან ეცა და სულ წკმუტუნ-წკმუტუნით მომირბენინა, ფეხებთან დამიგდო და ამაყად შეჰყეფა — ხედავ, რა მოხერხებული ვარო.

იმის შემდეგ ობოლამ ეს ხერხი ისწავლა და საუკეთესო მყვინთავი გამოვიდა, ვერც ერთი იხვი ვერ დაემალებოდა, წინასწარ ჩაყვინთავდა წყალში და, ჩაყოფდა თუ არა იხვი თავს, მაშინვე ეცემოდა ხოლმე.

ბევრი ასეთი ყოჩაღობა გამოუჩენია ობოლას, მაგრამ ეს ორი წელია, დამეჩაგრა, სანადიროდ ველარ დამყავს, დავბერდი, გული კი მერჩის, მაგრამ შეძლებით ძალა აღარა მაქვს. შვილებიც სულ იმას მეჩიჩინებოდნენ, მამა, გეყოფა ამდენი სიარული, რაღა დროს შენი ნადირობაა, დაისვენეო.

მე დავისვენე, მაგრამ ობოლამ კი მოსვენება დაკარგა.



დღენიადაგ წკმუტუნებდა, შარვლის ტოტებს მაგლეჯდა, მიმიყვანდა კედელთან, სადაც თოფი მეკიდა, და შემჰყეფდა ხოლმე. მეცოდებოდა. ავდექი და ერთ ნაცნობ მონადირეს ვაჩუქე, სანადიროდ ატარებს და გამხიარულდება-მეთქი. მენანებოდა კი, მაგრამ, აბა, რა მექნა, მე ნადირობის თავი აღარ მქონდა, ობოლას კი ნავარდი უნდოდა. დავუტოვე და გამოვეპარე. არ გასულა ორი დღე და აქოშინებული მოვარდა ჩემი ობოლა, გარს მივლიდა, მლოკავდა, ამაცრემლა ეს დროული კაცი... ის იყო და ის, იმ დღის მერე გვერდიდან აღარ მომშორებია...

— ახლა რაღა დაემართა? — გვაინტერესებდა ჩვენ.

— ახლა მეტად საკვირველი ამბავი მოხდა... ერთი კვირის წინ ნათესავთან ვიყავი, მეზობელ სოფელში; იმ დროს მივედი, როცა ჩემი ნათესავის ვაჟი, მინდია, სანადიროდ მიდიოდა და დიდ მზადება-ფაციფუცში იყო. ძაღლებსაც ერთი ყეფა-წკმუტუნი ქონდათ. ობოლამ რომ დაინახა, სანადიროდ მიდიანო, ყეფით და სირბილით აიკლო იქაურობა. ფეხებში ჩამაფრინდა და მეხვეწებოდა — ჩვენც წავიდეთო. მაგრამ, აბა, მე როგორ წავიდოდი? მინდიამ მითხრა: თუ წამომყვება, წავიყვანო. თოკი მოვაბი და ისე გავაყოლე, ცოტა მანძილზე მეც წავყევი. კი არ მიდიოდა, მიფრინავდა, მაგრამ როგორც კი გამოვბრუნდი, გაწყვიტა თოკი და დამედევნა. ჩამავლო პირი ფეხებში და უკან მეწეოდა. მე ხან გავუჯავრდი, ხან მოვეფერე — წადი, ჩემო ობოლა, წადი. იქ სჯობია შენთვის, მინდია მონადირეა და ხშირად გატარებს სანადიროდ-მეთქი. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. თავისი გრძელი ყურები უფრო ჩამოუშვა და თავჩაქინდრული, ლასლასით გამომყვა სახლში.

იმ დღიდან აღარც სვამს, აღარც ჭამს, ახლოს აღარ მეკარება, წევს და არის ისე, მებუტება, თავსაც ვერ მანებებს — ვუყვარვარ...

წამოვდექით ობოლას სანახავად და რას ვხედავთ? ობოლა უკვე მომკვდარა...

ობოლას სიკვდილის შემდეგ ძია მიხოს ტკბილი საუბარი აღარ მოგვისმენია, სულ მარტო დადიოდა დაღონებული, ან იჯდა თავის ეზოს წინ, ხის ძირში და ჩიბუხს აბოლებდა. მონადირის ან მონადირე ძაღლის დანახვაზე თვალებზე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე.

სოფელში ზოგიერთები დასცინოდნენ კიდეც:

— რას გადაყევი, ძია მიხო, იმ ძაღლს, ძაღლი იყო, ადამიანი ხომ არაო?!

— ეეჰ, თქვენ რა იცითო! — იტყოდა და ჩაივლიდა.

ახლა ვფიქრობ: რა უფრო აღონებდა მოხუცს, თავისი სიბერე, თუ ობოლას სიკვდილი?



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვპასუხობთ შეკითხვებზე

# საიდან წარმოსდგა სახელწოდება ქვიშხეთი?

საქართველოს ბევრი მხარე, მთა, გორაკი, მდინარე, ხევი, ხეობა, სოფელი, დაბა, ქალაქი—ხშირად თავის სახელწოდებას ადგილმდებარეობის მიხედვით იღებდა.

ქართულ სახელწოდებათა დაბოლოება „ეთი" ამათუიმ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელია. მაგალითად: კლდეეთი, თელეთი და სხვ.

ასევე უნდა ითქვას სახელწოდება ქვიშხეთის შესახებაც. ინტერესმოკლებული არ იქნება პიონერებისათვის, გარკვეული იქნას მათი საყვარელი საბანაკო ადგილის სახელწოდების წარმოშობის ისტორია.

როგორც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებით ირკვევა, სოფელი ქვიშხეთი, გაურკვეველია როდის, მდინარის პირას გაშენებულა, როგორც ეს საქართველოში ხშირად ხდებოდა ხოლმე. ძველად ქვიშხეთის ადგილზე მდინარეს კალაპოტი ან სანაპირო ჰქონია. მთიდან საუკუნეთა მანძილზე ჩამომდინარე ღელე თუ მდინარე ქვიშასა და ღორღს აგროვებდა. აქ დროთა განმავლობაში იმდენად ბევრი ქვიშა დაგროვდა, რომ ხალხმა პირველად მას ქვიშეთი შეარქვა და სოფლის სახელი თავდაპირველად ასე გამოითქმოდა. შემდეგ იგი ქვიშხეთად შეიცვალა.

სადაც დღეს ქვიშხეთია, იქ მართლაც ძველად მდინარეს უდენია. მდინარეს შოლი ეწოდებოდა. იგი საკმაოდ წყალუხვი ყოფილა. ერთ ქართველ მეფეს აქედან არხიც კი გაუყვანია ურწყავი მიწების მოსარწყავად.

ცნობილი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ქვიშხეთის შესახებ წერდა: „შოლის მდინარე გამოსდის მთას, მიდის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. შოლის პირიდამ გაიტანა მეფემან ვახტანგ რუ, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო, და ჰყო წისქვილიანი და სმენ პირუტყვნი. შოლის პირის დასავლით, შოლისავ კიდეზე არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, მშვენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი".

ვინც ქვიშხეთში ყოფილა, შეამჩნევდა, რომ იქ არასოდეს ტალახი არ იცის. აქ ნიადაგი ქვიშიანია, წყალს ყოველთვის ატარებს და ამიტომაც სიმშრალეა.

სწორად უნდა იქნას მიჩნეული ქართველი მწერალი ქალის ბაბილინა ხოსიტაშვილის დაკვირვება ქვიშხეთის სახელწოდების შესახებ, რაც მან გამოთქვა თავის საბავშვო პოემაში „ქვიშხეთის აგარაკზე", სადაც იგი ამბობს:

„ქვიშხეთს კიდევ რად ვიტყვით?
ქვიშაა იქ მრავალი,—
ლაფს აროდეს აიკრავს,
გზაში ფეხით მავალი".

ამრიგად, ქვიშხეთი თავდაპირველად იწოდებოდა როგორც ქვიშეთი, შემდეგ ის ხალხმა ქვიშხეთად შეცვალა და ამ სახელწოდებით შემოგვინახა.

ვ. სიდამონიძე




## ბინის ჰიგიენა

უძველესი დროიდან ადამიანი საიმედო და მყუდრო თავშესაფარს ეძებდა. საუკუნეების მანძილზე გამუდმებული ზრუნვისა და დაღალავი შრომის შედეგად მოიპოვა მან საცხოვრებელი ბინა.

თავისი ცხოვრების მეტ ნაწილს ადამიანი ბინაში ატარებს: საკუთარ ჭერქვეშ იკვებება თუ ისვენებს, მუშაობის შემდეგ მეცადინეობს, კითხულობს თუ შემოქმედებით მუშაობას ეწევა, ზრდის შვილებს, ხვდება მეგობრებს. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ, რომ იგი ყოველთვის იქით მიილტვის, რაც შეიძლება მეტად კეთილმოაწყოს, სილამაზისა და სიმყუდროვის მეტი ელფერი შემატოს თავის მუდმივ ნავსაყუდელს.

ჯანსაღ ბინას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ადამიანი უნდა ცდილობდეს, ბინაში ერთხელ დამყარებული წესრიგი და ჰიგიენა ბოლომდე შეინარჩუნოს.

განსაკუთრებულად თვალყური წესრიგის შენარჩუნებას მიადევნე. ნუ მიყრი ოთახის კუთხეში ნივთებსა და ტანსაცმელს, ნურც სხვას მისცემ ნებას, ფანჯრის რაფაზე ნუ დააწყობ ჭურჭლეულობას, ბოთლებს. ყოველ ნივთს, პატარა იქნება ის თუ დიდი, თავისი ადგილი მიუჩინე.

ერთის მხრივ ეს გაგიადვილებს ნივთის მიგნებას, მეორე მხრივ კი წესრიგის დამყარებას ბინაში.

ბინის შესასვლელთან ფეხსაწმენდი ჩვარი ან ძველი ხალიჩა დაფინე და თვალყური ადევნე, რომ ყოველმა შემომსვლელმა მასზე კარგად გაიწმინდოს ფეხი, რომ იატაკზე მისი ლანჩისაგან ტალახის ლაქა არ აღიბეჭდოს. ამავე მიზნით სასადილო ოთახშიც მაგიდის ქვეშ კარგი იქნება პატარა ხალიჩის დაგება.

კერვის ან ხელსაქმის წინ, ამას შენ წამოიწყებ თუ ოჯახის სხვა წევრი, მაგიდაზე ან იატაკზე რაიმე კოლოფი დადგი, რომ ქსოვილის ჩამონაჭრები და ძაფის ნარჩენები შიგ ჩაიყაროს.

მონაწილეობა მიიღე, აგრეთვე, ბინის დასუფთავებაშიც. ბინის დალაგების წინ თავზე უსათუოდ წაიკარი ხილაბანდი, ტანზე ძველი კაბა ან ხალათი ჩაიცვი, ეს იმიტომ, რომ არ გაგიჭუჭყიანდეს თავი, არ დაგემტვეროს ტანსაცმელი.

## ბინის ყოველდღიური დასუფთავება

სანამ ბინის დალაგებას შეუდგებოდე, ფანჯარა გააღე უსათუოდ. პირველ რიგში მაგიდიდან ლანგარზე აკრიფე ჭუჭყიანი ჭურჭელი, გადაყარე ნარჩენები და პაპიროსის ნამწვი, სუფრიდან სპეციალური ჯაგრისით გადაწმინდე პურის ნამცეცები.



ქვეშაგები ფანჯარასთან სკამზე დაალაგე გასანიავებლად. თუ საწოლი ფანჯარასთან დგას, მაშინ ქვეშაგები იქვე გაანიავე, ამისათვის 10-15 წუთი იკმარებს.



ლოგინის დალაგების შემდეგ ყველა ნივთს თავისი ადგილი მიუჩინე. წყალი ასხურე ქოთნის ყვავილებს, ლარნაკში მოთავსებულ ყვავილებს წყალი გამოუცვალე.

ფანჯრის რაფა, რადიატორი, არაპოლირებული ავეჯი კარგად გაწურული სველი ჩვრით გაწმინდე, პოლირებული კი — რბილი და მშრალი ჩვრით. რბილი ავეჯი პატარა ცოცხით, ან ჯაგრისით გაწმინდე. შემდეგ იატაკი დაგავე. დაგვის დროს, მტვერი რომ არ დააყენო, ცოცხს, ან გრძელტარიან ჯაგრისს დიდზე ნუ მოიქნევ ხოლმე.

ხის შეუღებავი და უმასტიკო იატაკი სველი ჩვრით გაწმინდე, ან მორეცხე. ფიცრის, ლინოლიუმის, ან პარკეტის იატაკი, რომლებსაც მასტიკა აქვთ წასმული, სკიპიდარშენამული ტრიკოტაჟის, ან მაუდის ძველი ნაჭრით მოასუფთავე და მოაპრიალე.

ბინის დალაგების შემდეგ სამზარეულოში ჭურჭელი დარეცხე, ქურა გაასუფთავე და წყლის ბაკანი გაწმინდე.

როგორც ხედავ, მარტო ბინის დასუფთავება ძალიან ბევრს მოიცავს. ყოველდღიურად, დალაგების გარდა, ოჯახში უამრავი საქმე იყრის კიდევ თავს. მშობლებს რომ ტვირთი შეუმსუბუქო, ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა მიიღე.

ბინაში სისუფთავის დასაცავად მარტო ყოველდღიური დასუფთავება როდი კმარა. როგორც წესი, ბინა საფუძვლიან დალაგებას მოითხოვს თვეში ერთხელ, ხოლო გენერალურს — წელიწადში ორჯერ ან სამჯერ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბინის ყოველთვიური დასუფთავება

ნიშადურიან თბილ წყალში დასველებული ჩვრით გაიწმინდოს ბატარეა, ფანჯრის რაფა და კარები. კარადების თავიდან სველი ჩვრით გადმოიწმინდოს მტვერი, თბილი წყლით მოირეცხოს იატაკი, შემდეგ მსუბუქად წაესვას სანთელი ან მასტიკა და მაუდის ნაჭრით გაპრიალდეს. ფანჯრის მინები რბილი და დაჭმუჭნილი ქაღალდით გაიწმინდოს (გახსოვდეს, რომ მტვერი 50 პროცენტით ნთქავს მზის სხივებს). სარკეები და სურათების მინები სპირტნარევი წყლით გასუფთავდეს. ხის არაპოლირებული, ან ტყავგადაკრული ავეჯი ოდნავ ნამიანი ჩვრით, ხოლო პოლირებული ავეჯი ჯერ მშრალი, შემდეგ კი გლიცერინნარევ წყალში დასველებული ჩვრით გაიწმინდოს. (პროპორცია: 10 პროცენტიანი 10 გრ. გლიცერინი 100 გრ. წყალზე.)

ფარდებსა და წიგნებს მტვერშემწოვით მოცილდეს მტვერი. რბილი ავეჯიც მტვერშემწოვით გაიწმინდოს. შეიძლება სხვა საშუალების გამოყენებაც — წყალში დასველებული ძარლის ნაჭერი ჯაგრისს შემოეხვიოს და ისე გადაესვას ავეჯს.

ტყავგადაკრული ავეჯი კვერცხის აქაფებულ ცილაში დასველებული ჩვრით გასუფთავდეს. ხავერდგადაკრულ რბილ ავეჯს კი მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ჩვარი გადაესვას ქსოვილის ბუსუსების მიმართულებით.

## ბინის გენერალური დასუფთავება

გენერალური დასუფთავება წელიწადში 2-3-ჯერ უნდა მოხდეს. ასე, მაგალითად: ახალი წლის წინა დღეებში, გაზაფხულზე, როცა დათბება, და ზაფხულში, აგარაკზე გამგზავრების წინ.

გენერალური დასუფთავების დროს პირველ რიგში საკვამური და ღუმელი უნდა გასუფთავდეს. შემდეგ კარადებიდან ჭურჭელი და ტანსაცმელი გამოლაგდეს, კარადის შიგნითა კედლები თუ ყუთები ჯერ სველი, ხოლო შემდეგ მშრალი ჩვრით გაიწმინდოს. ჭურჭელი ცხელ წყალში გაირეცხოს, ხოლო ბროლეულობა და შუშის ჭურჭელი, — ნიშადურიან ნელთბილ წყალში. ტანსაცმელი გარეთ გაიწკეპლოს და განიავდეს. ასევე გაიწკეპლოს და განიავდეს რბილი ავეჯი, საბნები, ლეიბები, ხალიჩები. წიგნები მშრალი ჩვრითა და მტვერშემწოვით გასუფთავდეს.



კედლები თუ ჭერი ცოცხით, ან სპეციალურ ჯაგრისზე რამდენიმე ფენად შემოხვეული ტრიკოტაჟის ნაჭრით ჩამოიწმინდოს. ჩამოიფერთხოს შუქფარიც.

ცხელი წყლითა და საპნით გაირეცხოს ხის შეუღებავი თუ შეღებილი იატაკი, პარკეტი ჯერ ბენზინიანი ან სკიპიდარმოსხმული ნახერხით მოიწმინდოს, შემდეგ მასტიკა მოესვას და ძველი მაუდის ჩვრით მოპრიალდეს. კარები და ფანჯრის ჩარჩოები ნიშადურნარევი თბილი წყლით გაირეცხოს. სურათები მეორე მხრიდან ჯერ სველი და მერე მშრალი ჩვრით მოსუფთავდეს. სურათის მინა სპირტნარევ ან სუფთა წყალში დასველებული ჩვრით და დაჭმუჭნილი მშრალი ქაღალდით გაპრიალდეს.

ფანჯრის ჭუჭყიანი მინა ჯერ წყლით მოლბეს და ჩვრით გაიწმინდოს, მერე 2 მუჭა დაფხვნილი ცარცი ან კბილის ფხვნილი ნახევარ ჭიქა წყალში გაიხსნას, ცოტა ნიშადურის სპირტიც შეერიოს. მიღებული მასა ორივე მხარეს წაესვას, როცა შეშრება, მშრალი ნაჭრითა და დაჭმუჭნილი ქაღალდით გაპრიალდეს.

ზაფხულში პიონერულ ბანაკში, აგარაკზე ან სოფელში გამგზავრების წინ მშობლებთან ერთად შენც იზრუნე იმაზე, რომ მოწესრიგებულად დატოვო ბინა.

კარადიდან თუ საკუჭნაოდან არ დაივიწყო ისეთი პროდუქტების გამოტანა, რომლებიც ადვილად ფუჭდება. ფქვილი და ბურღულეულობა ქილაში შეინახე. ცოცხით გამორეცხე ჭუჭყიანი წყლის სახმარი ვედრო, შუქფარს ქაღალდი გადააფარე, ოთახებსა და სამზარეულოში ბუზების საჭერი წებოვანი ქაღალდები ჩამოკიდე, მჭიდროდ ჩაკეტე წყლის ონკანი, გამორთე ელექტროგაყვანილობა, ასევე გაზის ონკანიც.

საწოლსა და რბილ ავეჯზე ზეწარი გადააფარე, მორეცხე იატაკი, ეს იმისათვის, რომ არ გამრავლდნენ ბუზები, ან ბაღლინჯოები.

როგორც ხედავთ, ბინის ყოველთვიური ან გენერალური დასუფთავების დროს გაცილებით მეტი საქმის გაკეთებაა საჭირო, ვიდრე ყოველდღიური დალაგებისას. ამას, რასაკვირველია, მეტი ფიზიკური ძალა და ცოდნაც ესაჭიროება. უთუოდ ყველაფრის გაკეთებას შეძლებ თუ ჩვენს მიერ მოცემულ რჩევებს გაითვალისწინებ, მაგრამ სავალდებულო არაა, დღესვე ყველაფერი შეასრულო. ამის საშუალებას არც დრო მოგცემს და არც უფროსები მოგცემენ. ცოდნით კი ყველაფრის წესი უნდა იცოდე, რადგან დღეს თუ არა, ხვალ რომ დაგჭირდეს, არ გაგიძნელდეს. ჯერჯერობით კი ერთთვიური თუ გენერალური დასუფთავების დროს ისეთ საქმეს მოჰკიდე ხოლმე ხელი, რომლის დაძლევასაც უფრო შეძლებ.

რასაც შენ ისწავლი და გააკეთებ, შენს თანაკლასელებსაც ასწავლე. ეს შესაძლებლობას მოგცემს პიონერ-ინსტრუქტორის საპატიო წოდება მოიპოვო.

**ც. ელიგულაშვილი,**
**ლ. პაიჭაძე.**
**ნახ. ე. ამბოკაძისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალმოსახლენი

## არნო ონელი

1

— ნეტავ ეს რა ხმაურია,
მეზობელო კეთილო?
— ახალ სახლში გადადიან
თამრიკო და ქეთინო!

ვაკის პარკი ხომ გინახავთ,
მისი ცა და ფერები?
შადრევნები დიდ-პატარა
და ანკარა ჩქერები?
პარკის აქეთ, სადაც სახლებს
დასცქერიან სერები,
სად ბარნოვის ქუჩა ბრწყინავს
მზით და მშვენიერებით,
ას თვრამეტში სიხარულით
მღერის ყველა კუნჭული,
თრიალეთით მონაბერი
ისმის სიოს ჩურჩული...
აი, სწორედ აქ, ამ სახლში,
მეზობელო კეთილო,
საცხოვრებლად გადადიან
თამრიკო და ქეთინო.

2

გაიჭედა კიბეები
ნაირ ავეჯეულით,
წინ ბუფეტი გაჯგიმულა
ცოტა ცხვირაწეული,
მკვეხარა და თავაზიან
სიტყვას გადაჩვეული:
— აბა, რა მაქვს საბოდიშო
ხელქვეითთა წინაშე,
მე პირველმა უნდა შევდგა
ფეხი ახალ ბინაში!

მაგიდა სულ გადირია
ამ ამბავის მოწამე:
— რასა ბრძანებთ, ვაქბატონო,
სად ხართ მაშინ, როცა მე
სტუმრებს ვხვდები გულგაშლილი,
ღიმილით და ალერსით,
ყველას ვხიბლავ მე ქართული
სიტყვით უმხურვალესით.
რად გგონიათ ჩემი საქმე
იყოს ასე ადვილი?
განა მე არ მიკავია
სახლში შუა ადგილი?
უჩემოდ ვის ეამება
საუზმე თუ სადილი?
ჯერ მე შევალ! ასეთია
ჩემი გულის წადილი!

სავარძელს რომ ეს მოესმა,
განა დააგვიანა,
წვერზე ხელი გადაისვა
და თქვა თავაზიანად:
— თუ ოჯახის პაპისა ვარ,
რაა გასაკვირველი,
რომ თქვენს შორის, მეგობრებო,
ვიყო მუდამ პირველი!
ამიტომაც, რა თქმა უნდა,
აქ სადავო რა არი,
მსურს დავლოცო ეს კერია,
მისი მამამთავარი!
თქვენ კი არა, მე გახლავართ
ამ ოჯახის ჯავარი!

აქ სკამებმა ტაში დაჰკრეს,
გაიღიმეს მაცდურად
და სავარძელს ნაბრძანები
ყველამ დაუდასტურა.
კარადა კი ახტა-დახტა,
ტყავში ველარ ეტევა
და ბინაში შესასვლელად
იწყო დიდი შეტევა.

მაგრამ უცებ დიასახლისს
მოჰკრეს თვალი თუ არა,
წამს სიჩუმის ანგელოზმა
გვერდით ჩამოუარათ;
ხოლო როცა მთლად უფროსმა
მკლავი მაღლა ასწია,
ყველას ზაფრამ დაუარა,
შეწყდა გაწამაწია.
და იცით რა მოხდა მერე?
გინდათ გაგაგებინოთ?
ყველაზე წინ ცეკვა-ცეკვით,
მეზობელო კეთილო,
ახალ სახლში შეცუნცულდნენ
თამრიკო და ქეთინო.



ნახ. რ. თორდიაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ტექნიკის სიახლენი

## ქარხანა ოკეანეში

მცურავი ქარხანა ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ ნედლეულის მოპოვება თვითონ უხდება. ამიტომ საწარმოო ლაბორატორიას დამატებული აქვს სარეწი საამქრო. მოძრავი ქარხანა თვეობით არის მოცილებული ხმელეთს და ეკიპაჟისათვის, რომლის რაოდენობა 645 კაცს აღემატება, გემი მარტო სამუშაო ადგილი კი არ არის, არამედ, საცხოვრებელი, დასვენებისა და სწავლის ადგილიცაა. ამიტომ გემზე დიდი ბიბლიოთეკა, კინოდარბაზი და დასვენების ოთახებია.



დაჭერილი თევზი, ვიდრე გადაამუშავებდნენ, რომ არ გაფუჭდეს, ყინულში უნდა შეინახონ, გემზე ამისთვისაც არის მოწყობილობა- ეს, პირველი მცურავი ქარხანა ლენინგრადის „ადმირალტეეცის“ ქარხანამ ააგო.

## უნივერსალური ტრაქტორი

სპეციალურ ჩარჩოსა და სათადარიგო მოწყობილობას, როგორც ეს სურათზე ჩანს, შეუძლია ჩვეულებრივი ტრაქტორი უნივერსალურ მანქანად გადააქციოს, რომელიც მტვირთავიც იქნება, მზიდავიც, ამომძირკველიც და ბულდოზერიც.



ერთ ცვლაში მანქანას შეუძლია 40 კბ. მეტრი ქვის ამოგდება ან ასამდე კუნძის ამოძირკვა. შემდეგ იგი ბულდოზერივით მოასწორებს ზედაპირს, ამოავსებს ხრამებს და სხვ.

სატვირთო სამუშაოზე იგი 30—35 მუშას ცვლის და შრომის ნაყოფიერებას სამჯერ მეტად ზრდის. მას, როგორც ჩვეულებრივ ტრაქტორს, ერთი კაცი ემსახურება.

ტრაქტორის ამ სათადარიგო მოწყობილობებს ამზადებენ და აწყობენ ლიტვის ქარხანაში.

## ძველი ქიმიკოსები

დღეს დავას აღარ იწვევს ის აზრი, რომ ძველი დროის ყველაზე გამოჩენილი ქიმიკოსები ეგვიპტელები იყვნენ. თვით სიტყვა „ქიმიკოსი“ ზოგიერთის აზრით ეგვიპტური წარმოშობისა უნდა იყოს.

რა მონაცემებზეა დამყარებული ასეთი დასკვნები?

პირველი ის არის, რომ გვამების დაბალზამების ეგვიპტური ხელოვნება დღემდე ახსნილი არ არის. ახლაც კი, როდესაც მეცნიერებას ხელთა აქვს უამრავი ახალი ქიმიური ნივთიერება, ისეთი მუმიის გაკეთება, როგორსაც ეგვიპტელები აკეთებდნენ ფარაონების დროს, არ ხერხდება.

ამას გარდა, ეგვიპტელი ქიმიკოსები ღებულობდნენ შესანიშნავ საღებავებს — ლურჯს, მწვანეს, ცისფერს... ამჟამად, 4 ათასი წლის შემდეგ, ამ საღებავებს შენარჩუნებული აქვთ ბრწყინვალე ფერი და მდგრადობა. ეგვიპტეში მაღალ სიმაღლეზე ყოფილა პარფიუმერიაც, აკეთებდნენ ათასგვარ ნელსაცხებელს, სურნელოვან ზეთებს და სხვ.

ეგვიპტის ცნობილმა მკვლევარმა ებირსმა იპოვა 20 მეტრის სიგრძის პაპირუსი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1552 წელს მიეკუთვნება. როგორ აწებებდნენ მის ცალკეულ ფურცლებს? რა წებო იყო იგი, რომელმაც ასე კარგად შეინახა პაპირუსი ათასეული წლების მანძილზე? ვერც ამ კითხვას სცემს პასუხს დღევანდელი მეცნიერება.

## მეცნიერების გადაუჭრელი პრობლემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კულტურის ძეგლები



# დავით-გარეჯა

ვინ მოთვლის, ჩვენი ერის შემოქმედების რამდენი ბრწყინვალე ნიმუში დაიღუპა დამპყრობთა მრავალრიცხოვანი შემოსევების დროს. კედლის მხატვრობის მრავალი ძვირფასი ნიმუში შეურუჯავს მტრის მიერ გაჩენილ ხანძარს, წაუშლია წვიმასა და ქარს. უკუღმართი ისტორიის წყალობით თითქმის მთლად განადგურდა არქიტექტურისა და მხატვრობის ბევრი შესანიშნავი ძეგლი. მაგრამ ჟამთა სიავეს მაინც გადაურჩა ზოგიერთი მათგანი, რომლებიც დღესაც გვაოცებენ თავისი განუმეორებელი სილამაზითა და სინატიფით.

თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით რომ წავალთ, მტკვრისა და ივრის ხეობებსშუა, უდაბურ კლდეებში მრავალ გამოქვაბულს წააწყდებით. გამოქვაბული საქართველოში ბევრია, მაგრამ „დავით-გარეჯად" წოდებული გამოქვაბულების კომპლექსი იმით გამოირჩევა, რომ იქ შემორჩენილია ძველი ქართული მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები. გადმოცემის მიხედვით, ქართველ სასულიერო მოღვაწეს დავითს VI საუკუნეში, თბილისში დაუარსებია მონასტერი, რომელიც მის პატივსაცემად ახლაც დავითის მონასტრის სახელს ატარებს, ხოლო მთას, სადაც ეს ეკლესიაა აგებული (ახლა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი), მამადავითის მთას უწოდებენ. თბილისიდან დავითი სამოღვაწეოდ გარეჯაში გადასახლდა, მონასტერი დააარსა და შემდგომი მოღვაწეობა იქ გააგრძელა. დავითის სიკვდილის შემდეგ მისმა მრავალრიცხოვანმა მიმდევრებმა „დავით-გარეჯის" მიდამოებში კიდევ ბევრი სხვა გამოქვაბულმონასტერი შექმნეს. მათი წყალობით, „დავით-გარეჯამ" დღემდე შემოინახა არა მარტო არქიტექტურული ანსამბლი, არამედ კედლის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშებიც.

„დავით-გარეჯაში" კულტურული ცხოვრება VI საუკუნეში დაიწყო, მაგრამ ყველაზე მეტად ინტენსიური და ნაყოფიერი XI და XII საუკუნეებში გახდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქართულმა ფეოდალურმა სახელმწიფომ განვითარების უმაღლეს საფეხურს სწორედ იმ ხანებში მიაღწია, რაც თავისებურად აისახა არქიტექტურასა და მხატვრობაშიც.

„დავით-გარეჯის" კედლის მხატვრობა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასში კარგად ჩანს ქართველ ხელოვანთა დიდი გემოვნება და ოსტატობა. მნახველს აოცებს არა მარტო ფერების კარგი შეხამება, არამედ ფორმის გამოსახვის დიდი უნარიც.

გარდა ამისა, X საუკუნით დათარიღებულ, ამჟამად ჩამონგრეულ, ღია ცის ქვეშ დარჩენილ „უდაბნოს" მთავარ ეკლესიაში დაცული დავით გარეჯელის ცხოვრებისადმი მიძღვნილი სიუჟეტები საყურადღებოა თავისი თემატიკით, რაც ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზეა შემუშავებული. მხატვარი ამ სურათებში გვერდს უვლის ადრე მიღებულ, დაკანონებულ სქემებს და მეტად გასაოცარი ოსტატობით ქმნის ახალ სახეებს. საოცარი შინაგანი გამომსახველობით არის შესრულებული დავითის მოწაფის — ლუკიანეს მიერ ირმების წველის კომპოზიცია. ამასთან საინტერესოა ისიც, რომ ხატვის სტილი ძალზე სადაა და მეტყველი.

მთავარი საცხოვრებლის კედელზე გამოხატულია დავით გარეჯელისა და ლუკიანეს შრომის პროცესი — გამოქვაბულის ფონზე ლუკიანე ბარავს. აქვეა ნადირობის სცენები, აგრეთვე დავითის ცხოვრების სხვა ეპიზოდები. როგორც ჩანს, მხატვარს კარგად სცოდნია ისტორია, კერძოდ, დავით გარეჯელის წარსული.

„დავით-გარეჯაში" ცხოვრება მეჩვიდმეტე — მეთვრამეტე საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა. XVII საუკუნეში, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, „დავით-გარეჯას" შეეკედლა დიდი ქართველი მწერალი საბა-სულხან ორბელიანი და საფიქრებელია, რომ იქ დაწერა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები.

შეიძლება ბევრ თქვენგანს დაებადოს კითხვა, როგორ მოაღწია ჩვენამდე „დავით-გარეჯის" კედლის მხატვრობამ? ნუთუ სიცხე-სიცივემ, ქარმა და წვიმამ არ დაუკარგა ფერი საღებავებს? დღესდღეობით ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია. როგორც ჩანს, ქართველ ოსტატებს ბალახებისაგან საღებავების შეზავების რაღაც თავისებური ხერხი სცოდნიათ, რომელიც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

**ი. ჯანდიერი**

## ჯაპანის სარკისებრი კობრის ტბორული მეურნეობა

თევზის ტბორებში მოშენებას ჩინელები უხსოვარი დროიდან ეწეოდნენ, რომაელები—ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დასავლეთ ევროპაში — საშუალო საუკუნეებიდან, ბალტიისპირეთში კი — XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა პერიოდში.

საქართველოში პირველი ტბორული მეურნეობა 1932 წელს შეიქმნა, სამტრედიის რაიონის სოფელ ჯაპანასთან, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, ძველ ნარიონალში.

ძველთაგანვე, ტბორულ მეურნეობაში უმეტესად გამოყენებულია სარკისებრი კობრი, რომელიც მტკნარ წყლებში ფართოდ გავრცელებული კობრისაგან ხელოვნური მოშენებისა და მოვლა-შერჩევის გზით არის მიღებული.

სარკისებრ კობრს ახასიათებს ფართო ქერცლი, რომელიც ადვილად სცვივა, რის გამო გვერდები ხშირად უქერცლო, ან ქერცლით ნაკლებად დაფარული აქვს, სწრაფად მზარდია, ადვილად ეგუება ხელოვნურ პირობებს და ნაკლები მოვლით მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა. საცხოვრებლად ამჯობინებს ნაკლებ ღრმა, მდგარ ან ნელი დინების წყალს, მცენარეულობითა და საკვებით მდიდარ შლამიან ფსკერს. მისი კვება, ზრდა, გამრავლება წარმატებით მიმდინარეობს 20-25 გრადუსი ტემპერატურის დროს.

გამრავლებას იწყებს 3-4 წლიდან. ქვირითს ყრის მაის-ივნისში 100.000—1500 000 ცალამდე. განაყოფიერებულ ქვირითიდან 4-5 დღე-ღამეში იჩეკება ლიფსიტა.

სარკისებრი კობრის ტბორული მეურნეობა ძირითადად ორგვარია: სრული და არასრული. ჯაპანაში არის სრული ტბორული მეურნეობა, იგი შედგება რამდენიმე ტბორისაგან, ქვირითის საყრელი ტბორიდან დაწყებული, გასასუქებელ ტბორამდე; ეს ტბორები დაკავშირებულია ერთიმეორესთან წყლის სავალებითა და ჩასაკეტებით.

პირველი არის საქვირითე ანუ გასამრავლებელი ტბორი. აქ ფსკერი დაფარულია რბილი ბალახეულით, რაც საჭიროა ქვირითის დასაყრელად. ტბორის სიღრმე 15-125 სანტიმეტრია. ახლად გამოჩეკილი ლიფსიტები ამ ტბორში 10-15 დღეს რჩებიან. ისინი გადაჰყავთ მეორე, ე. წ. გამოსაზრდელ ტბორში. ეს ტბორი ნახევარი მეტრის სიღრმისაა, ისეა მომზადებული საკვებითა და სხვა პირობებით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდოს თევზი. ორიდან სამ წლამდე, როცა თევზი კარგად მოიზრდება, მესამე—გასასუქებელ ტბორში გადაჰყავთ, საიდანაც ხდება მისი გასაღება. გარდა ამისა, არის გამოსაზამთრებელი ტბორი (იგი ყველაზე ღრმაა) 2 მეტრამდე აღწევს. აქ თევზი აცივების შემდეგ გადმოჰყავთ სხვა ტბორებიდან.



სარკისებრ კობრს სწრაფი ზრდა-განვითარებისათვის ესაჭიროება თბილი, მზიანი, ხანგრძლივი ზაფხული. ამ მხრივ საქართველოს ბარი ფრიად შესაფერი ადგილია თითქმის ყველა კუთხეში სარკისებრი კობრის ტბორული მეურნეობის განვითარებისათვის. ამ კარგ, სახალხო საქმეს ხელი უნდა შეუწყოს ნორჩმა თაობამაც.

**როსტომ ელანიძე**




## ჩალაყვავილა ანუ იაკუტელთა პურის მომცემი მცენარე

ტროპიკებში, სადაც მაღალი ტემპერატურის გამო მარცვლეული ვერ ხარობს, ბუნებამ ადამიანს მის ნაცვლად შესთავაზა პურის ხე, ფინიკისა და ქოქოსის პალმები და სხვა საკვები. მაგრამ რა ექნათ ჩრდილოეთში იაკუტელებსა და კალმიკებს? ოქტომბრის რევოლუციამდე მათ ყინულოვან მხარეებში პური და ბოსტნეული არ მოდიოდა. მეფის დროს ამ ადგილებში ღარიბი მოსახლეობა თითქმის სრულიად ვერ ჭამდა პურს. აქ ასახლებდნენ რევოლუციონერებს. აქ, ამ ჯავაში იტანჯებოდნენ მწერლებიდან — ჩერნიშევსკი და კოროლენკო, რევოლუციონერებიდან — ორჯონიკიძე, იაროსლავსკი და ბევრი სხვა.

ამ ადგილებში მარცვლეული ვერ ხარობდა, მაგრამ ბუნებამ ნამდვილი პურის სანაცვლოდ ადამიანი დააჯილდოვა ისეთი მცენარით, რომელიც პურის მაგივრობას გასწევდა. ეს იყო იაკუტიის ტბებისა და ჭაობების ნაპირებზე 1,5 მეტრის სიმაღლის, იაკუტელთა პურის მომცემი ველური მცენარე.

ამ მცენარეს, რომელსაც [illegible] ღეროზე ზემოაშვერილი ფოთლები [illegible] მწკრივებია, ეწოდება ჩალაყვავილა. მის ფესვებში დიდი რაოდენობით მოიპოვება სახამებელი, არის, აგრეთვე, ცილები და ცხიმები.

„ჯერ კიდევ 1871 წელს, — ამბობს ნ. ვერზილინი — ქიმიკოსები, რომლებმაც გამოიკვლიეს იაკუტელთა „პური", წერდნენ: „ჩალაყვავილას ფესვების ფქვილში არის ყველაფერი, რაც კი ადამიანის კვებისათვის არის საჭირო".

ახლა იაკუტელებსა და კალმიკებს თავიანთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოჰყავთ საჭირო რაოდენობის ხორბლეული, კარტოფილი და ბოსტნეული, მაგრამ ჩალაყვავილაც დამსახურებისამებრ ვახსენოთ.

## პურის ხე

ტროპიკულ ქვეყნებში, სადაც დიდი სიცხეების გამო ხორბლეული ვერ ხარობს, არტოკარპუსის ნაყოფისაგან აცხობენ პურს.

ან ხე-მცენარეს ბერძნებმა უწოდეს არტოკარპუსი ანუ პურის ხე. იგი ბოტანიკურად თუთანაირთა ოჯახს ეკუთვნის. 35 მეტრი სიმაღლისა იზრდება. მარადმწვანეა, ყვითელი მერქანი აქვს.

პურის ხე წააგავს ჩვენებურ მუხას.



ტანზე და მსხვილ ტოტებზე ისხამს ადამიანის თავის ოდენა ნაყოფებს.

პურის ხის ნაყოფი მდიდარია სახამებლით. უმწიფარი ნაყოფისაგან ამზადებენ გემრიელ და ყუათიან კერძებს, ხოლო პურს მწიფე ნაყოფისაგან აცხობენ.

სამ ძირ პურის ხეს შეუძლია გამოკვებოს ერთი კაცი მთელ თავის ცხოვრებაში, თუნდაც ას წელზე მეტი იცოცხლოს.

**ანა ნემსაძე**

# მოკლედ ყველაფერზე

## ძაღლის მარათონი

ძაღლი პატრონს ჩამორჩა რომში, ათი დღის განმავლობაში გაიარა 440 კილომეტრზე მეტი, გადავლო აპენინის თოვლიანი მთები და ტყეები, მიაღწია ქალაქ ფერარის გარეუბნამდე და ღონეგამოლეული დაეცა. ცნობა ამის შესახებ მოხვდა ადგილობრივ გაზეთში: პატრონი ეძებდა ძაღლს. აღმოჩნდა, რომ ძაღლმა დაიმახსოვრა მარშრუტი რომიდან ფერარამდე მისი პატრონის მანქანით მოგზაურობის დროს.

## ობობა მექალალე

სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობს ობობა პოდადორა. თავის თანამოძმეთაგან განსხვავებით, იგი როდი ხლართავს ეშმაკურ ქსელს. მაგრამ მისი იარაღი არანაკლებ სახიფათოა მწერებისათვის. პოდადორა იმალება ვაზის ფოთლებში და ელოდება მსხვერპლს. წინა ფეხებით გრძელი ქსელი უჭირავს, რომლის ბოლოზეც წებოვანი ნივთიერების წვეთია.

დაინახავს რა ახლომახლო მფრინავ მწერს, ობობა სწრაფად ესვრის მას თავის ქამანდს. მოხვდა მიზანში — ნადავლი მიეწება წვეთს. „მონადირე" ობობა ქსელს ტოტის ბოლოზე მიამაგრებს და, როგორც თოკის კიბეზე, ისე დაეშვება ძირს მსხვერპლითურთ.

ზოგიერთ მეცნიერს სადავოდ მიაჩნია ობობა პოდადორას მიერ მსხვერპლის ასე დაჭერა. მათი აზრით, ობობა მხოლოდ გააქან-გამოაქანებს ქსელს, რომელზედაც წებოვანი წვეთია, და ისე იზიდავს მწერს. პეპელა ახლოს ჩაუფრენს მისატყუებელს, შემთხვევით ეხება მას და ეწებებათ.

როგორადაც არ უნდა სარგებლობდეს ობობა თავისი იარაღით, ერთი ცხადია, — მსხვერპლი ყოველთვის ნიშანში ხვდება მას.

## უბედობა არ ვნებს... თუთიყუშს

ფრინველთა შორის, რომელნიც ტყვეობაში ცხოვრობენ, სიცოცხლის ხანგრძლიობის რეკორდს ამყარებს თუთიყუში. ჩვეული ლაქლაქი და უბედობა სრულიად არ უშლის ხელს იცოცხლოს მთელი საუკუნე. მისი სიცოცხლის ხანგრძლიობის რეკორდი 140 წელს აღწევს. კაკადუ გაიქუცება კიდეც, 90 წელს რომ მიაღწევს, მაგრამ უბედობის უნარს მაინც არ კარგავს.

თავისუფლებაში ფრინველები იშვიათად თუ აღწევენ სიბერემდე. ნატურალისტებისათვის ცნობილია 30 წლის კაჭკაჭი, 17 წლის სკვინჩა, 14 წლის იხვი. 10 წლის ასაკამდე სიცოცხლე ზოგიერთი ფრინველისათვის უდიდესი მიღწევაა. დიდრონი ფრინველები იშვიათად აღწევენ 20 წლამდე. ერთმა მოშინაურებულმა ბატმა 44 წელი იცოცხლა.

თევზთაგან სიცოცხლის ხანგრძლიობის რეკორდს ამყარებს გველთევზა, რომელიც 56 წელს ცოცხლობს. კობრმა 47 წელი იცოცხლა. ცნობილია 30 წლის წითელი თევზი — ჭეშმარიტად იშვიათი ეგზემპლარია! იმიტომ, რომ დიდრონი თევზებიც კი ვერ ცოცხლობენ 20 წელზე მეტ ხანს, ხოლო პატარა თევზები 10-12 წლის ასაკს ძლივს აღწევენ.



## სწავლული თუთიყუში

იაპონელი ზოოლოგების ერთი ჯგუფი რამდენიმე წლის განმავლობაში ცდებს ატარებდა სამ თუთიყუშზე იმის გამოსარკვევად, თუ ყველაზე სწრაფად რომელ ენას ითვისებენ ეს ფრინველები. აღმოჩნდა, რომ ასეთი ენა ყოფილა ლათინური. სხვათა შორის, ცდების ჩამტარებელ ზოოლოგთაგან არავინ იცოდა ლათინური ენა. თუთიყუშებს „გაკვეთილებს აძლევდა" სპეციალურად მოწვეული ენათმეცნიერი.

## კენგურუს ნაკვალევზე

ავსტრალიელ და ინგლისელ მეცნიერებს, რომლებიც ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სცდიდნენ სამართავ რაკეტებს, ბედმა არ გაუღიმა. ამაში ბრალი კენგურუებს, ანუ უფრო სწორად, კენგურუების კუდებს მიუძღვით.

საქმე იმაშია, რომ ამ ცხოველის კუნთოვანი კუდის მიერ მიწაზე დატოვებული ჩაღრმავება საოცრად ჰგავს ჩამოვარდნილი რაკეტის ცხვირის კონუსის ნაკვალევს. ჩამოვარდნილ რაკეტათა ამ ნაწილის ძებნის დროს, ავსტრალიელი გამომცდელები არაერთხელ დარწმუნებულან, რომ ბოლოს და ბოლოს ისინი კენგურუს კუდის ნაკვალევს მიჰყვებოდნენ.



## ზოოპარკში მხეცებს უფრო მეტხანს ცოცხლობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივ პირობებში გარეული ცხოველების მხოლოდ უმცირესი ნაწილი ცოცხლობს სიბერემდე. თუ მხედველობა დაუქვეითდა, კბილები ჩაემტვრა, თვით ყველაზე საშიში გარეული ცხოველიც განწირულია დასაღუპად.

ზოოპარკში მხეცები უზრუნველყოფილი არიან უხვი საკვებით, არც ძალღონე ეხარჯებათ მსხვერპლის დევნაში. ისინი დაცული არიან დაუდგრომელი გარეული ცხოვრებისაგან. მათ ირგვლივ არ არის არც ერთი მტერი. მელას ტყვეობაში შეუძლია იცოცხლოს 25 წელი, როცა მისი გარეული ნათესავი 14-15 წლის ასაკში ფრიად დაჭაჩანაკებული გამოიყურება — კბილებჩამტვრეული და ჭრილობებით დასერილი დრუნჩით.

## „სურნელოვანი" ბენზინი

ტეხასის (აშშ) ერთმა ფირმამ თავის მეზობელ ფირმებს მთლიანად წაართვა ბენზინის მყიდველები. არ გეგონოთ, მისი ბენზინი უფრო იაფი ღირდეს. საქმე იმაშია, რომ ის ავტომობილები, რომლებშიც ამ ფირმის ბენზინი ასხია, ჩვეულებრივი ბენზინის ნამწვის სუნს კი არ ავრცელებენ, არამედ ყველაზე ძვირფასი ოდეკოლონის სურნელება ასდით.

„სურნელოვანი" ბენზინის შემადგენლობას ფირმა საიდუმლოდ ინახავს.



## კავკასიის არჩივი

ფრინველებიც გვთავაზობენ ზოგჯერ სიურპრიზებს: თეთრი გედი მოკლეს 1887 წელს დერბიშირეში, ფეხებზე ჰქონდა რგოლი, რომელიც დათარიღებული იყო 1717 წლით. ის იყო თითქმის 170 წლის!

საფრანგეთში 1845 წელს მოკლული არწივი კისერზე ატარებდა მძივს ლათინური წარწერით, რომელიც იუწყებოდა, რომ მას იყენებდნენ ნადირობისას კავკასიაში ჯერ კიდევ 1750 წელს. ის მოკლეს 95 წლის ასაკში. ეს ორი ფაქტი, თუ მათ სარწმუნოდ ჩავთვლით, ეკუთვნის იშვიათ შემთხვევათა რიცხვს ფრინველთა სიცოცხლის ხანგრძლივობიდან.

„ПИОНЕРИ" журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.
№ 2 1962 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 5—07—43
სსსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». ‖ რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 5-07-43
უე 05102 ტირ. 28.000. პირ. ფორ. რაოდ. 4¹/₂, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 9/II-62 წ. სტამბის შეკვ. 2226. გამომც. შეკვ. 680. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ‖ ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. გარეული ცხოველი; 3. ვერდის ოპერა; 4. ბოსტნეული; 5. ნაწარმოების მთავარი აზრი; 7. პირველი საბჭოთა კოსმონავტის სახელი; 10. ჭაობის მცენარე; 12. ცისკარი, განთიადი; 13. სოკოს ჯიში; 14. ქალაქი ნორვეგიაში; 16. ქალაქი საფრანგეთში.

**ჰორიზონტალურად:** 1. მდინარე აზიაში; 2. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 5. მდინარე საქართველოში; 6. სიგრძის ძველებური საზომი; 8. სამამულო ომის გმირი ქალის სახელი; 9. ოფიციალური წერილობითი მიმართვა ერთი მთავრობისა მეორისადმი; 10. ჭრილობა ანუ... 11. ქალაქი რუმინეთში; 14. გარეული ფრინველი; 15. ადმინისტრაციული დანაყოფი.

შეადგინა **ს. კარანაძემ,**
თბილისის 57-ე სკოლის მოსწავლე.

## ფანქრის ერთი მოსმით

აქ მოცემული ფიგურა შემოხაზეთ ფანქრის ერთი მოსმით.

**გ. კოპაძე,**
თბილისის 53-ე საშ. სკოლის მოსწავლე.



## გამოცანა—ხუმრობა

მძღოლის გვერდით ბავშვი ზის. ბავშვი მძღოლის შვილია. მძღოლი ბავშვის მამა არ არის. მაშ ვინ არის მძღოლი?

**გ. გველესიანი.**

## აბა სცადეთ!

ქვემოთ მოცემული სახის ნაკვთების მონახაზები დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ სხვადასხვა განწყობილების (სიხარულის, წუხილის, ხიბრაზის, გაკვირვების, შიშის) გამომხატველი სახეები.



**ნ. მესხიძე**

## პასუხები

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. არაბეთი; 2. მადრიდი; 3. სიცილია; 4. გეიზერი; 5. ბაობაბი; 6. ასპინძა; 18. რიგა; 19. ოდრა; 20 ბორჯომი; 21. ქუთაისი.

**ჰორიზონტალურად:** 7. ნიაგარა; 8. რეინი; 9. იორი; 10. ეული; 11. იური; 12 მელია; 13. ილია; 14. რომი; 15. ონისე; 16. ძიძა; 17. დონბასი; 22. ძროხა; 23. ქორი; 24. აგური; 25. ტრიო; 26. იგლესიასი.

### ამოცანა

ბაბუა არის 70 წლის, 10 წლის შემდეგ იგი 80-ის ხდება. შვილი 30 წლისაა და 10 წლის შემდეგ 40-ის ხდება. შვილიშვილი 10 წლის არის და 10 წლის შემდეგ მას 20 წელი უსრულდება.

## ქართული ანდაზები სწავლაზე

გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

კაცს სწავლა სიბერემდე არ მოსჭარბდებაო.

ნასწავლი კაცი სოფლისთვის კარგია, უსწავლელი — ბარგიაო.

სიბრძნე ებრძვის სიბრიყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ.

სწავლა ცოდნის თესლია, ცოდნა კი — ბედნიერებისაო.

სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

სჯობს ყოლა უწვრთნელ ძაღლისა, უწვრთნელი შვილის ყოლასა.

უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას მიემატაო.

უსწავლელი კაცი სიბერის დროს გაწბილდება.

ცოდნას ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო ჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერიაო.

ჭკუა პურია სახითა, მჭამელთა შესარგებელი, ცოდნა და საქმის ხმარება — მარილი დასაწებელი.

ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკუა ცოდნით მოიხმარების.

ხელის ღონესა ჭკუა სჯობს, ყველა მას ემორჩილება.

6 ...108
ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი

ნახატი-ხუმრობები
ე. ამბოაძისა







